ირინა უგრეხელიძე



კოსტუმი შუა საუკუნეების საქართველოში

ირინა უგრეხელიძე

კოსტუმი შუა საუკუნეების საქართველოში

ქუთაისი 2011

უაკ 687.016

მონოგრაფია – „კოსტუმი შუა საუკუნეების საქართველოში“ ეძღვნება ისტორიული კოსტუმის ფორმებისა და გამოყენებული მასალების კვლევას სხვადასხვა წერილობით, იკონოგრაფიულ და სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით. მონოგრაფიაში მოცემულია საკითხისადმი მიძღვნილი ლიტერატურის ანალიტიკური მიმოხილვა; გამოვლენილია საქართველოში შუა საუკუნეებში გამოყენებული სამოსისა და თავსაბურავების დღეისათვის ნაკლებად ცნობილი სხვადასხვა სახეობები – სკარამანგი, პალეკარტი, ჯუბა, ჯუბაჩა, ყაბა, ყაბაჩა, კუბასტი, აჯიღა და სხვა მისთანანი. ავტორს, გამოვლენილი სახეობების სისტემაში მოყვანისათვის, შედგენილი აქვს სამოსის კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით; შესწავლილი აქვს შუა საუკუნეების საქართველოს კოსტუმზე დასავლური (ბიზანტიური) და აღმოსავლური (სპარსული) ზეგავლენები.

ნაშრომი დაწერილია პოპულარულ ენაზე და განკუთვნილია ფართო მასებისათვის. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ის ერთნაირად საინტერესო იქნება, როგორც კოსტიუმის ისტორიით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის და გარკვეულად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის მატერიალური კულტურის პოპულარიზაციას. ამასთანავე, მონოგრაფიაში წარმოდგენილი მასალა შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო ქართული კოსტუმის ისტორიის შემსწავლელ პირთათვის.

რეცენზენტები:

სრული პროფესორი **ნინო დოლიძე** (აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
ასოც. პროფესორი **ლია ლურსმანაშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

ISBN 978-9941-432-57-6

© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

E-mail:atsuph@atsu.edu.ge

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული ეროვნული სამოსი სხვადასხვა ხალხების ტრადიციულ კოსტუმებს შორის ერთ–ერთ საინტერესო სახეს წარმოადგენს. ის ისევე, როგორც მატერიალური კულტურის სხვა ელემენტი საუკუნეების განმავლობაში ფორმირდებოდა. ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციის რთული პროცესი მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული, ესენია: გეოგრაფიულ-ტერიტორიული, კლიმატური, ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სქესობრივი, სამეურნეო-ყოფითი და სხვა.

ძლიერი დამპყრობელი მეზობლების – ბიზანტიის, არაბების, სპარსელების, თურქებისა და სხვათა ხშირი და ხანგრძლივი ბატონობა ზეგავლენას ახდენდა ეროვნულ ჩაცმულობაზე, სამოსისა და თავსაბურავის ჩაცმა-ტარების მანერაზე. მიუხედავად ასეთი გარემოცვისა, ქართველმა ერმა ჩამოაყალიბა ისეთი ეროვნული სამოსი, რომლის საშუალებითაც გარკვეული ადგილი დაიმკვიდრა მატერიალური კულტურის მსოფლიო საგანძურში.

საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა სამოსის ცალკეული ელემენტების გამოჭრის, შეკერვისა და გაფორმების მეთოდები. შესაბამისად იცვლებოდა სატანსაცმელე მასალების ხარისხი, რის შედეგადაც, საქართველოს მთასა და ბარში ისტორიულად ტანსაცმლის სხვადასხვა სახე ჩამოყალიბდა. თითოეული მათგანი შეიცავს საკმაოდ ზუსტ ინფორმაციას მისი მფლობელის ეთნიკური კუთვნილების, წოდებრიობის, სქესის, ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, კულტურის,

შინამრეწველობის განვითარების დონის, საქმიანობის და მისი ცხოვრების სხვა მრავალი საყურადღებო მხარის შესახებ: საშინაო, სამუშაო, საზეიმო და სამგლოვიარო ჩაცმულობის განსხვავებულობა, ტანსაცმლის შემკულობის თავისებურება გამოხატავს არა მარტო ადამიანის სოციალურ სტატუსს, საქმიანობას, არამედ მისი მსოფლმხედველობის ცალკეულ მხარეებსაც.

შუა სუკუნეების კოსტუმის ისტორიის გასაცნობად მასალები ძალზე მწირია (შეიძლება ითქვას, ფაქტიურად არ არსებობს), ეთნოგრაფიული მასალა და სამუზეუმო ექსპონატები XVIII საუკუნამდე, რომელთა მიხედვით შეიძლება დადგენილ იქნას სამოსის ფორმები, მისი დამზადების თანმიმდევრობა, გამოყენებული მასალები, არ მოგვეპოვება. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის კოსტუმის შესასწავლად სხვა წყაროებს უნდა მივმართოთ. ასეთი წყაროები შეიძლება იყოს ყველა ის წერილობითი ძეგლი (ლიტერატურული თუ ისტორიული ხასიათისა: მხატვრული ნაწარმოებები, სიგელ–გუჯარები, ისტორიული მატიანეები და საკანონმდებლო დოკუმენტები, უძველესი მზითევის წიგნები, მოგზაურთა აღწერილობანი და სხვა ხასიათის თხზულებანი), სადაც საუბარია სამოსის, მისი შემადგენელი ნაწილებისა თუ დასამზადებელი მასალების შესახებ; იკონოგრაფიული ძეგლები (არქიტექტურული ძეგლების ბარელიეფები, ქართული ფრესკები მეფე–მთავართა, მოღვაწეთა და სხვა პირთა პორტრეტებით, ოქრომჭედლური ხელოვნების ნიმუშები, ტიხრული მინანქარი, წმინდანთა ხატები, მინიატურები,) სადაც ისტორიული პირების გამოსახულებაზე მეტნაკლებად მკაფიოდაა წარმოდგენილი კოსტუმი; სპეციალური ლიტერატურა, რომელიც მიძღვნილია ამ საკითხების შესწავლისადმი.

კვლევის პროცესში დამუშავებული იქნა შემდეგი წერილობითი ძეგლები:

1. ლიტერატურული თხზულებანი – ი. ცურტაველის, ბ. ზარ-

ზმელის, გ. მერჩულეს, გ. მცირის, მ. მოდრეკილის, შ. რუსთაველის, მ. ხონელის, შავთელის, გორგანელის, ეზრას და სხვათა ნაწარმოებები.

2. ისტორიული მატიანეები – ლეონტი მროველის, ჯუანშერის, ზოსიმე ეზოსმოძღვარის და სხვა.
3. საკანონმდებლო დოკუმენტები – „გარიგება ხელმწიფის კარისა“, „მეფედ კურთხევის წესი“ და სხვა სიგელ–გუჯარები.

სახვითი ხელოვნების ნიმუშებიდან კოსტუმის შესწავლისათვის მოძიებული და გამოკვლეული იქნა:

1. V-XVII საუკუნეების არქიტექტურული ძეგლები: მცხეთის ჯვრის მონასტერი (VI ს), ატენის სიონის ტაძარი (VII ს), ზემო კრიხის მთავარანგელოზის ეკლესია (X ს), გელათის ღვთისმშობლის მონასტერი (XI ს), ბერთუბნის მონასტერი (XI ს), ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია (XI ს), ბეთანიის ტაძარი (XII ს), ხობის ეკლესია (XI ს), ქვაბისხევის მარიამწმინდის მონასტერი (XII ს), ბოჭორმის წმინდა გიორგის ეკლესია (XII-XIII სს), სამთავისის ეკლესია (XI ს), ბუგეულის ღვთისმშობლის (XVI ს) ეკლესია, ალვანის ნათლისმცემლის ეკლესია (VIII-IX სს), გრემის მთავარანგელოზის (XV ს) ეკლესია.
2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული სხვადასხვა ხელოვნების ნიმუშები: ხახულის მინანქრის კარედი ხატი (X ს), შემოქმედის მონასტრის ჭედური ხატი, მარტვილის მინანქრის კარედი –„ვედრება“ (IX ს), ჯრუჭის მონასტრის ოთხთავი (XII ს) და სხვა.
3. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში დაცული სხვადასხვა ხასიათის წერილობითი ძეგლები ფერწერული მინიატურებით, „ XII საუკუნის ასტრონომიული ტრაქტატი“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი A-65); „ვეფხისტყაოსანი“ 1646 წლის ხელნაწერი მინიატურებით (ხელნაწ. ინსტ. H599).

1. მასალები შუა საუკუნეების საქართველოს კოსტუმის შესწავლისათვის

შუა საუკუნეები დროის საკმაოდ ვრცელ პერიოდს მოიცავს – V საუკუნიდან XVII საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. ამ ხნის განმავლობაში საქართველომ ისტორიის ქარტეხილებით აღსავსე მთელი ეპოქა განვლო. ქართველი ხალხის სამოსი, ისევე როგორც ყოფაცხოვრების სხვა სფერო, დროის ამ პერიოდში იცვლებოდა და ვითარდებოდა, მაგრამ ამასთანავე ინარჩუნებდა გარკვეულ თვითმყოფადობასა და ორიგინალობას.

ეროვნული სამოსის ჩამოყალიბებისა და განვითარების კვლევა ისტორიული მეცნიერების ერთ–ერთი დარგია. მისი შესწავლით ვღებულობთ გარკვეულ ინფორმაციას ერის მატერიალური და სულიერი კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ.

შუა საუკუნეების სამოსის შესახებ საყურადღებო მასალებს ვპოულობთ სხვადასხვა მკვლევარების ნაშრომებში.

პირველი მკვლევარი, რომელმაც ქართული ჩაცმულობის ისტორიაზე გაამახვილა ყურადღება, არის ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი), რომელიც XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა. მან გადმოგვცა თავისი თანადროული ქართული ჩაცმულობა და XI – XIII საუკუნეებსაც გადაწვდა. მოკლედ დაახასიათა ძველებური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი –„პირველ ერთმეფობასა შინა ცმიათ სხვაგვარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნჭული ბეჭსა ზე-

და მცმელი და გრძელბეწოსანი, პერანგი ბერული ტილოსი, საგულე და კაბა გრძელი კოჭამდე უღილოდ. მას ზედა სარტყელი ფოჩჩაშვებული, ტყავი დიდი სახელ–ვიწრო და ფერხთა ზედა მოგვი, ვითარცა იცნობიან ნახატებთა ზედა“ [1].

ვახუშტი ბატონიშვილმა პირველმა სცადა ისტორიულ-მონუმენტური ფერწერის გამოყენება ძველი ქართული ტანსაცმლის ისტორიის შესწავლისათვის. ამის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „ვახუშტის ღვაწლი მეცნიერების ამ დარგში იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა მიაქცია ამ საკითხს ყურადღება და მერმინდელ მკვლევართ თვით ის გზაც უჩვენა, რომლითაც სიარული მათ დიდს და ძვირფას მასალას შესძენდაო“ [2].

მკვლევარი ივ. ციციშვილი შენიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ვახუშტისეული აღწერილობა არ დასტურდება იმდროინდელი კედლის მხატვრობით. ასე მაგალიათად, ვახუშტი წერს, რომ, ებურათ „თავს ქუდი გრძელი, რომლის კუნჭული ბეჭსა ზედა მცემელი და გრძელბეწოსანი“ იყოო. ჩვენამდე მოღწეული ერთმეფობის დროინდელ ნახატებზე ასეთი ქუდები არ შეინიშნება [3].

ვახუშტის შრომის შემდეგ ქართული კოსტუმის ისტორიისათვის მნიშვნელობა აქვს დავით ფანასკერტელი-ციციშვილის ნაშრომს. ის დიდძალ მასალას იძლევა XVII-XVIII საუკუნეების ქართველთა სამოსისა და ყოფაცხოვრების შესახებ [3].

მე-19 საუკუნის ბოლოს ფრანგი მკვლევარი ჟან მურიე დაინტერესდა ქართული კოსტუმით. მურიეს ნაშრომს ორი აზრი გასდევს: ჯერ ერთი ის, რომ ქართული ჩაცმულობა წარსულში ისეთივე ცვალებადი იყო, როგორადაც ჩვენი ისტორიული წარსული და მეორე ის, რომ ეს ცვალებადობა მუდამ უცხოელ დამპყრობთა მიერ იყო გამოწვეული.

მურიეს ნაშრომის შესახებ მკვლევარი ივ. ციციშვილი

წერს: „მურიეს აზრს შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ დავეთანხმოთ. ჩაცმულობის ასეთ ხშირ ცვალებადობას, უეჭველია, ჩვენი ხალხის ზედა ფენებში ექნებოდა ადგილი. ხოლო რაც შეეხება ქართველი ხალხის სხვა ფენებს – გლეხობას და ხელოსნებს, მათი ჩაცმულობის ამგვარი ცვალებადობისათვის ნიადაგი არ არსებობდა და ამიტომაც, მათ წრეში უცხო ტომთა ტანსაცმელი ფეხს ვერ მოიკიდებდა.

საქართველოს ჩაცმულობის ისტორია, აღნიშნავს მურიე, ეს თვით ამ ქვეყნის ისტორია არისო. სპარსთა, ბერძენთა, არაბთა და თურქთა ბატონობა ერთიმეორეს მისდევდა. დამპყრობელთ თან შემოჰქონდათ თავიანთი ჩვეულებანი, მათებური ჩაცმულობა, მათ ქვეყანაში მიღებული ტანსაცმლის ფერები, იქაური ქსოვილები და ვარცხნილობა“ [3].

ივ. ციციშვილი დაწვრილებით განიხილავს ჟან მურიეს ნაშრომს. ზოგიერთ მის მოსაზრებას უარყოფს, ზოგს ნაწილობრივ ეთანხმება, ზოგს კი მართებულად მიიჩნევს და აკეთებს დასკვნას: 1. მურიე თავის მსჯელობის დროს მთლიანად ფრესკებსა და ხელნაწერთა ნახატებს ემყარება და არსად არ ჩანს, რომ ეს მასალა მას წერილობით ძეგლებთან შეეჯერებინოს; 2. მურიეს მსჯელობა მხოლოდ მეფეების, მთავრებისა და დიდ მოხელეთა გამოსახულებათა ანალიზს ემყარება და სრულებით უგულებელყოფს ხალხის ფართო ფენების ტანსაცმელს; 3. მეფე მთავართა კოსტუმებზე მისი კონცეფცია ზოგადად ასეთია: საუკუნეთა განმავლობაში მმართველი წრის სამოსი იცვლებოდა პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით, ამასთან IX-XI საუკუნეებში ბიზანტიური გავლენა იყო გაბატონებული; XII –XIV საუკუნეები გარდამავალი ეპოქაა; XV საუკუნეში უკვე ჩაცმულობის ეროვნულ ელემენტი შეინიშნება; XVI და ნაწილობრივ XVII საუკუნეებში ყოველივე მთლად სპარსულ გავლენის ქვეშ ექცევა. გარდა ამისა ჟან მურიე თამარის კოსტუმს (ბეთანი-

ის ფრესკაზე) ქართულად მიიჩნევს, ხოლო გიორგი-ლაშას ტანსაცმელს კი სპარსულად. სინამდვილეში ეს საკითხი სადისკუსიოა, რადგან ქართული სამოსის დამახასიათებელი თავისებურება სწორედ წელზე გამოწყობილობაა; არასწორია ასევე ჟან მურიეს დასკვნა, რომ სამეფო ნიშნები საქართველოს მეფეებს ბიზანტიის იმპერატორთაგან მოდიოდათ IX საუკუნიდან, რეალურად ეს ნიშნები მოდიოდა არა IX საუკუნიდან, არამედ VI საუკუნიდან [3].

ქართული კოსტუმის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი მასალა აქვს განხილული ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილს, რომელმაც 1904 წელს გაზეთ „ივერიაში“ მოათავსა წერილები სათაურით: „ისტორიული პიესების წარმოდგენის გამო“. ის ცნობილი იყო, როგორც ქართული ყოფა-ცხოვრების დიდი მცოდნე. მას აღწერილი აქვს ჩაცმულობა, მოცემული აქვს ვახუშტი ბატონიშვილისეული აღწერილობის ახსნა-განმარტება. XVII-XIX საუკუნეების ჩაცმულობის აღწერილობა მრავალ საინტერესო და საჭირო დეტალებს მოიცავს. ავტორი აკეთებს ქართული, პოლონური და კაზაკური სამოსის შედარებით ანალიზს.

საერთოდ მესხიშვილის ნაშრომში XVII-XIX საუკუნეების სამოსის აღწერილობა დამაჯერებელია, სავსე საჭირო დეტალებით, მაგრამ XII-XIII საუკუნეების კოსტუმის აღწერილობას დამაჯერებლობა აკლია, ვინაიდან ავტორი არსად არ ასახელებს გამოყენებულ წყაროებს. ალექსი-მესხიშვილს დაწვრილებით აქვს აღწერილი ქალის ვარცხნილობისა და მორთვა-მოკაზმვის წესები და ჩაცმულობა. აგვიღწერს ქალის სხვადასხვა სახის თავსაბურავებს – დოლბანდისებრ ჩიხტი-კოპებს, ბაღდადს, კაბას, გულისპირ-სარტყელს, ქათიბს, თბილმანებს, სხვადასხვა ფეხსაცმელებს და სამკაულებს; საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ჩაცმულობის წესების შესახებ [4].

ქართული კოსტუმის ისტორიისადმია მიძღვნილი „ქართული ეროვნული ჩაცმულობა“ – ნაშრომი ავტორისა „ვინმე სოფლელის“ ფსევდონიმით. ავტორი ნაშრომში აღწერილ სამოსს საყოველთაო სახმარად მიიჩნევს და დასძენს – „თუ ფორმისა და მოყვანილობის მიხედვით ქართული ჩაცმა-დახურვა სხვადასხვა წოდებაში ბევრით არაფრით განსხვავდებოდა – მაგივრად ქსოვილებისა და სამკაულების მხრივ – დიდად განსხვავებული იყოო“ [5].

ძალზე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ივ. ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი მასალები მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, განსაკუთრებით ტერმინების მხრივ. ნაშრომში ქართული ტანსაცმელი განხილულია VI საუკუნიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე, მასთან ერთად ქსოვილები, სამკაულები, თავსაბურავები, ფეხსაცმელი და XI-XIII საუკუნეების მეფეთა სამოსი – ატენის ყინწვისის და გიორგი III –ის 1174 წლის მონეტის მიხედვით [6].

აკად. ივ. ჯავახიშვილი ქართულ ისტორიულ წყაროებში საყოფაცხოვრებო მასალის სიმცირის შესახებ შენიშნავდა: „ყოველი ქვეყნის ადგილობრივი დამკვირვებელი ცდილობს თავისდროინდელი ყოფაცხოვრების არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული ამბები აღწეროს. ამის გამო მერმინდელ თაობას ქვეყნის ყოველდღიური ყოფაცხოვრების შესახებ ცოტა, ან არავითარი ცნობა არ მოეპოვება. ამ ნაკლს უცხოელ მოგზაურთა აღწერილობანი ავსებენ... მათი თვალი და ყური ისეთ რამეებსაც ადვილად ამჩნევს, რასაც ადგილობრივი დამკვირვებელი, ვითარცა ყველასათვის კარგად ცნობილს, არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა. ამის წყალობით უცხო დამკვირვებლის აღწერილობაში ამა თუ ქვეყნის ყოფაცხოვრება გაცილებით უფრო მეტი სისრულითაა აღბეჭდილი, ვიდრე რომელსამე ადგილობრივ წყაროშია ხოლმე“ [7].

ქართული სამოსის ისტორიის მრავალმხრივი მასალაა მოცემული მკვლევარ ივ. ციციშვილის ნაშრომში [3], რომელიც მას დაუმთავრებელი დარჩა. ივ. ციციშვილი განიხილავს წყაროებს და ლიტერატურას. ის მიიჩნევს, რომ იკონოგრაფიული ძეგლები, წერილობითი ისტორიული წყაროები და საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური შრომები ქართული კოსტუმის ისტორიისათვის მნიშვნელოვან მასალას გვაძლევენ. ავტორი განმარტავს ტერმინ იკონოგრაფიას. „იკონოგრაფია (ბერძნ) სახის ანუ გამოსახულებათა აღწერილობაა. თავდაპირველად მას უფრო ვიწრო გაგებით ხმარობდნენ – როგორც ხატების შემსწავლელ მეცნიერებას. შემდეგში ეს ტერმინი უფრო ფართო შინაარსს ღებულობს (ყოველგვარ გამოსახულებათა შემსწავლელი მეცნიერებაა)“.

მკვლევარი იკონოგრაფიულ ძეგლებად მიიჩნევს ბარელიეფებს ფიგურის გამოსახულებით, სახელმწიფო და პირად ბეჭდებს დოკუმენტებისათვის, საფლავის ქვებს, ნუმიზმატიკას, ჭედური ხელოვნების ნიმუშებს, ფერწერით იკონოგრაფიას (მონუმენტურს და მინიატურულს) და ფოტოსურათებს.

წერილობით ისტორიულ ძეგლებად ივ. ციციშვილი მიიჩნევს ისტორიულ და ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს, სიგელ–გუჯარებს, მზითვის წიგნებს, მოგზაურთა აღწერილობებს, მემუარებს და სხვა. მკვლევარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნიკორწმინდისა და მცხეთის XI საუკუნის სიგელებს – „მათში დასახელებულია სხვადასხვა სახელწოდების ქსოვილთა სამოსელი, მათი ღირებულება ნატურით და სხვა“ – აღნიშნავს ავტორი.

შუა საუკუნეების საქართველოს კოსტუმის ისტორიისათვის არანაკლებ საყურადღებოდ მიაჩნია მკვლევარს დოკუმენტები: XIII საუკუნის „მეფედ კურთხევის წესი და განგება“; XIV საუკუნის ხელმწიფის კარის გარიგება“, ხოლო XVII საუკუნისათვის ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის, პაპუნა ორბელიანისა და

ომან ხერხეულიძის თხზულებები. ამავე XVII საუკუნის მნიშვნელოვან წყაროდ ავტორი ჩვენამდე მოღწეულ „მზითვის წიგნებს“ განიხილავს და აღნიშნავს, რომ „ამგვარი მზითვის წიგნები შეიცავენ მდიდარ მასალას მაშინდელ ნივთიერ კულტურაზე და იმ სააღებ-მიცემო ურთიერთობაზე, რომელიც ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა ქვეყნებთან.“

მხატვრული ლიტერატურის ძეგლებიც მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის. „მნიშვნელოვანია ის ძვირფასი აღწერილობანი, რომლებიც მოცემულია მხატვრულ ლიტერატურაში“– წერს მკვლევარი.

კოსტუმის ისტორიის შესწავლისათვის ძალზე მნიშვნელოვნად მკვლევარს სპეციალური ლიტერატურა მიაჩნია, ისეთი, „რომელიც საგანგებოდ ჩაცმულობის ისტორიისადმია მიძღვნილი“, ამგვარ ლიტერატურად ი.ციციშვილი ასახელებს ვახუშტი ბატონიშვილის, დავით ფანასკერტელის, ჟან მურიეს, ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილის და ''ვინმე სოფლელის'' (ფსევდონიმი ივ. ციციშვილისა) ნაშრომებს.

ივ. ციციშვილს დიდი შრომა აქვს გაწეული ჩაცმულობის ქართული ტერმინების დაზუსტების საკითხისათვის. ის აღნიშნავს, რომ „სამოსელის ძირითადი ელემენტები და მათი სახელწოდებები სხვადასხვა დროს საყოველთაოდ გავრცელებული და ანალოგიური ყოფილა წინა და შუა აზიის და აფრიკის მეტწილ ქვეყნებში. ასეთებია მაგალითად: ჯუბა, ყაბა, ან კაბა, ჩოხა, ხიფთანი, ხალათი და სხვა მისთანანი. ეს შეიძლება იმითაც იყოს ახსნილი, რომ სწორედ კონტინენტთა ამ ნაწილებში იყო გავრცელებული სპარსთა და არაბთა უზარმაზარი იმპერიები. არაბებმა და სპარსელებმა დამორჩილებული ქვეყნების ხალხთა უმრავლესობას თავს მოახვიეს არა მარტო მაჰმადის რჯული, არამედ არაბეთში გავრცელებული ჩაცმულობის ფორმაც... არაბების შემდგომმა დამპყრობლებმაც – სელჯუკებმა, მონღოლებმა, თურქმა-

ნებმა ჩაცმულობის ცალკე ელემენტები შეითვისეს და შიგ თავისიც გაურიეს. ამ არაბულ და თურქულ სამოსთა სპარსულთან შერევისაგან წარმოიშვა ახალი აღმოსავლური ჩაცმულობა. ძირითადად ეს იყო: 1. თავკვეთილი კონუსის მსგავსი შავი კრაველის მაღალი ქუდი; 2. ქამრით ან სარტყელით შემორტყმული წინ ჩაჭრილი გრძელი ჯუბა...

ამის მიუხედავად, ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობდნენ სხვადასხვა მოდგმის, ენისა და კულტურის ხალხები, ჩაცმულობის სახელწოდებათა ერთნაირობის მიუხედავად, ჩაცმულობის ყაიდა, ფერი, მასალა და ხმარების მანერა არ შეიძლებოდა რომ მთლიანად ერთნაირი ყოფილიყო.

მკვლევარს განხილული აქვს სამოსის აღმნიშვნელი ტერმინების – „ჯუბა“, „კაბა“, „ყაბა“, „ჩოხა“, „ხალათი“, „ხიფთანი“ და სხვათა წარმოშობისა და გავრცელების სფერო. გაკეთებული აქვს ვრცელი ლიტერატურული მიმოხილვა მათ ირგვლივ და სხვ. მკვლევარი ერთმანეთისაგან გამოჰყოფს მონათმფლობელობის ხანის და ფეოდალური ხანის ჩაცმულობას და ცალკე ექსკურსების სახით განიხილავს. ის დანანებით აღნიშნავს, რომ „მასალათა შეზღუდულობის გამო იძულებულია შეეხოს მხოლოდ მეფე--მთავართა და კარისკაცთა სამოსელს და ყურადღების გარეშე დატოვოს მოსახლეობის ფართო ფენების ჩაცმულობა, ვინაიდან მათი ჩაცმულობის შესახებ ან სულ არაფერი, ან მეტად მცირე და არასაკმარისი მასალა მოგვეპოვება... ცნობილია მხოლოდ ის, რომ თუ ხალხის ძირითადი მასა ხალხურ ტანსაცმელს ატარებდა, სამეფო სახლის წევრები და წაჩინებულები თავის ჩაცმულობითაც მკვეთრად გამოირჩეოდნენ ხალხის მასებისაგან ძლიერი მეზობელი ქვეყნების ზეგავლენით. როგორც რომაელ–ბიზანტიელები, ასევე მათი მეტოქე სპარსელები, საუკუნეთა განმავლობაში ესწრაფოდნენ ჩვენი ქვეყნის დამორჩილებას, ამიტომ „მეფეების თავიანთკენ მიმხრობას ცდილობდნენ ბრწყინვალე სამოსელე-

ბით და მრავალგვარი საჩუქრებით”.

ბიზანტიურ წყაროებში დაცულია VI საუკუნის ქართველ მეფეთა ჩაცმულობის აღწერილობა. ასე, მაგალითად იოანე მალალა წერს, რომ „515 წელს ლაზთა უფლისწული წათე ბიზანტიაში ჩავიდა და კეისარ იუსტინეს აუწყა, რომ მას გაქრისტიანება სურდა. ის გაქრისტიანდა და რომაელი ქალი შეირთო, დაბრუნდა თავის ქვეყანაში დაგვირგვინებული და დასაჩუქრებული ბიზანტიის კეისრის–იუსტინეს მიერ. მას ემოსა კეისრისაგან საჩუქრად მიღებული თეთრი წმინდა აბრეშუმის ხლამიდი, რომელსაც ჰქონდა ოქროს სამეფო ზოლი. აგრეთვე თეთრი სტიქარი – პარაგავდი, ოქრომკედით ნაქსოვი. წაღები, რომელთაც ატარებდა, თავის საკუთარი ქვეყნიდან ჩამოეტანა და მარგალიტებით იყო შემკული სპარსულ ყაიდაზე. ამგვარადვე მისი სარტყელიც მარგალიტებით იყო შემკული“ (გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი III, გვ. 264).

ასეთივე ცნობები წათეს შესახებ აღწერილი აქვს თეოფანე ჟამთააღმწერელსაც (გეორგიკა ტ1, ნ1, გვ78, 1941წ) და აგათია სქოლასტიკოსს (გეორგიკა. ბიზანტიელ მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ ტომი III გვ.84).

ჩაცმულობის ხაზით წოდებრივი განსხვავება V და VI საუკუნეებში უძველესი წერილობითი ძეგლებიდანაც ჩანს. შუშანიკისა და ევსტატე მცხეთელის ცხოვრების ამსახველი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებიდან დიდებული მოხელის ცოლს „ანტიოქიისა პალეკარტი“ ემოსა, სხვადასხვა სამკაული ეკეთა. „თავი დაბურული“ უნდა ჰქონოდა „კუბასტით“. მდაბიო დედაკაცები კი „თმაგატევებულნი“ და დაუწნავი დადიოდნენ.

მკვლევარი მიმოიხილავს სამოსს სხვადასხვა არქიტექტურული ძეგლების ბარელიეფებიდან, რომლებზეც ერისმთავრები და სხვა ისტორიული პირები არიან გამოსახული, განსაზღვრავს ამა თუ იმ სამოსის სახეობებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევა-

რის მიერ გაკეთებული ზოგიერთი დასკვნა სამოსის შესახებ მცდარია. მაგალითად: მკვლევარი ასკვნის, რომ ქართლის ერისთავებს მცხეთის ჯვრის მონასტრის (VI-VII სს) ბარელიეფებიდან ჯუბები აცვიათ, როდესაც აღნიშნულ ბარელიეფებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აქ გამოსახული პირები ჯუბით არ არიან მოსილნი. მკვლევარი ასკვნის, რომ იმდროინდელი (VI-IX ს) ჩაცმულობა ძირითადად შედგებოდა საცვლის გარდა ჯუბისა და ქურქისაგან, რასაც ვერ დავეთანხმებით. V-IX სს წერილობით წყაროებში სამოსის აღმნიშვნელი ტერმინებიდან გვხვდება შემდეგი: პალეკატი, გირჯაკი, კუართი, ფესუი, ფესუედი, ძაძა, საგლოვალი, სამოსელი ვარსკვლავედი, საწვიმარი სტეოდი“ სამოსელი ტყავისა, კენდონი, ხალენი, სამხურე, არდადგი, ბურნუსი, და ა.შ. მაგრამ არა ჯუბა, საცვალი და ქურქი. ჯუბა და საცვალი წყაროებში XI საუკუნიდან მოიხსენიება [3].

მიუხედავად მცირედი ხარვეზებისა, მკვლევარ ივ. ციციშვილის წიგნი ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომია ქართული კოსტუმის ისტორიის შესწავლის საქმეში.

XI-XIII საუკუნეების ქართული სამეფო სამოსი აქვს განხილული მკვლევარ ნ. ჩოფიკაშვილს [8]. მას შესწავლილი და დამუშავებული აქვს სხვადასხვა მკვლევარის შრომები ბიზანტიური სამეფო სამოსის შესახებ. ის იხილავს ივ.ჯავახიშვილისა და ივ.ციციშვილის გამოკვლევებს. აღნიშნავს მათი შრომების დიდი მნიშვნელობის შესახებ ქართული კოსტუმის ისტორიის შესწავლისათვის.

ნ. ჩოფიკაშვილი ქართულ სამეფო სამოსს განიხილავს მეფეების ბაგრატ III, ბაგრატ IV, დედოფალ ისდუხტის (ბორენას), გიორგი II, დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფის, ლაშა- გიორგის, დავით ნარინის და დემეტრე II სამოსის მიხედვით.

ქართულ სამეფო სამოსს მკვლევარი განიხილავს ბიზანტიურთან მიმართებაში. ის აღნიშნავს „ქართულ ისტორიულ წყარო-

ებში მოხსენიებული სამეფო სამოსის ტერმინები, გადმოღებული ბერძნული და ლათინური ენიდან, გაურკვეველი იყო, ამიტომ მათ დასადგენად ნაწილობრივ ვისარგებლე ბიზანტიის იმპერატორთა ტანსაცმლის ტერმინებითა და მათი ტანსაცმლის აღწერილობით, მითუმეტეს, რომ XI-XIII სს ქართველ მეფეთა ჩაცმულობა ბიზანტიურის მსგავსია“.

მკვლევარს დადგენილი აქვს სამეფო სამოსის შემადგენელი კომპონენტები: ფესვედი სამოსელი (იგივე კვართი, პოდირი), ბისონი და დიადიმა (ლორო). სათითაოდ განიხილავს თითოეულ მათგანს. დადგენილი აქვს მათი სახელწოდების ეტიმოლოგია. მოთხრობილი აქვს სამეფო რეგალიების - ლაბარიუმის, სკიპტრის და ხმლის გადაცემისა და ტარების ტრადიციების შესახებ, მათი სიმბოლური მნიშვნელობების შესახებ, განხილული აქვს სამეფო სამკაულები, თავსაბურავები და სხვა.

XVI საუკუნის სამეფო სამოსი ლევან კახთა მეფის მიხედვით შესწავლილი აქვს მ. საყვარელიძეს [39]. ის განიხილავს – რა ცვლილება განიცადა სამეფო სამოსმა წინა პერიოდთან შედარებით; აანალიზებს, რა იყო ამ ცვლილებების მიზეზი; მოხდა თუ არა ერთნაირი ცვლილებები სამოსის დეტალებში საქართველოს ყველა კუთხეში.

მკვლევარი ც. ბეზარაშვილი [9] ცდილობს გამოიკვლიოს XVI ს-ის კოსტუმის კომპლექტები და გაარკვიოს შემდეგ პერიოდში კოსტუმში მომხდარი ცვლილებების მიზეზები. „XVI საუკუნის შუაწლებიდან სპარსეთმა და თურქეთმა ამიერკავკასია გავლენის სფეროებად დაინაწილეს, დასავლეთ საქართველოში გაბატონდნენ თურქები, აღმოსავლეთში სპარსელები... საქართველოში გაჩნდნენ მაჰმადიანი მეფეები. ამ მხრივ მძიმე აღმოჩნდა როსტომ მეფის მოღვაწეობა, რომელსაც მიეწერება სახელმწიფო თანამდებობების სპარსულ ყაიდაზე მოწყობა, სპარსული ფუფუნებისა და სანახაობების გავრცელება, სპარსული ტანსაცმლისა და სამკაუ-

ლების შემოღება და ა.შ. „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „და მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება და ყოველთავე შეიყვარეს ანგარება და სიმდიდრის მოყვარება, ჯამაგირი და სოფლის მიცემა ყაენისაგან და განმრავლდა ტანთ-ცმა ყიზილბაშურად ... როსტომ მეფე აძლევდა ქართველთა ლეინის ხალათებს და მცირესა მისაცემსა“... მაგრამ ამ პირობებშიც კი, არსებულა განსაკუთრებული ქართული ტანისამოსი.

მკვლევარს დადგენილი აქვს ქართული სამოსის კომპლექტის შემადგენელი სახეობები და მათი სახელწოდებები. დაწვრილებით აქვს გაშუქებული სამოსის ცვლილების რთული პროცესის ყველა მხარე.

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების საქართველოს კოსტუმის ისტორიისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ ჩატარებულია ზოგადი ხასიათის გამოკვლევები, რომლებიც შეიცავს ან მხოლოდ ფრესკული მასალების, ან რომელიმე სახეობის (მაგ. სამეფო) ტანსაცმლის კვლევას, დასამზადებელი მასალების დახასიათებას და ა.შ. რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასალა წარმოდგენილია დანაწევრებული სახით. გარდა ამისა არცერთ სპეციალურ ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი ტანსაცმლის ცალკეული სახეობების განსხვავებული ნიმუშების აღწერა. ასევე არ არის მოცემული მათი განვითრება საუკუნეების მიხედვით. ეს ყოველივე უდავოდ წარმოადგენს შუა საუკუნეების კოსტუმის კვლევის საფუძველს.

2. შუა საუკუნეების კოსტუმის ფორმები და სახეობები

2.1. შუა საუკუნეების კოსტუმის კლასიფიკაცია

ტანსაცმელი უძველესი დროიდან ხასიათდება დიფერენ-ცირებულობითა და შრომის და ყოფაცხოვრების პირობებთნ შეთნხმებულობით. ასევეა შუა საუკუნეებშიც. სამოსი ატარებს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ნიშნებს. სხვადასხვა სოცია-ლური ფენისათვის გვხვდება ტანსაცმლის განსხვავებული სახე-ები. (დიდგვაროვნის, ვაჭრის, ხელოსნის, ყმის, სასულიერო პირ-თა და სხვა). ამასთან განსხვავებულია ტანსაცმელი დანიშნულე-ბის მიხედვით (საშინაო, საზეიმო, სამგლოვიარო, სანადირო, სა-ომარი და სხვა).

ადრეულ შუა საუკუნეებში (V-IX სს) არისტოკრატიისა და საზოგადოების დაბალი ფენების ჩაცმულობა მკვეთრად გან-სხვავდებოდა ერთმანეთისაგან. უმეტესად ძლიერი მეზობელი სახელმწიფოების ზეგავლენით, ხოლო X-XI საუკუნეებიდან ქვეყნის წინსვლამ და ეკონომიკურმა აღმავლობამ ხალხის მასე-ბის ჩაცმულობაზეც მოახდინა გავლენა. მემატიანეთა გადმოცე-მით ამ პერიოდში დაბალ საფეხურზე მდგომ მოსახლეობასაც ლამაზად და გემოვნებით ეცვა. დიდგვაროვნებისა და დაბალი ფენის წარმომადგენლებისათვის ერთი და იგივე ფორმისა და სა-ხელწოდების ტანსაცმელი გამოიყენებოდა, მაგრამ დაბალ საფე-ხურზე მდგომთ უფლება არ ჰქონდათ ძვირფასი ქსოვილისაგან დამზადებული, თვლებით მოოჭვილი და ოქრომკედით

სქემა 2.1 შუა საუკუნეების კოსტიუმის კლასიფიკაცია



დამშვენებული სამოსი ეტარებინათ. იმდროინდელ უპასპორტო საზოგადოებაში ჩაცმულობა ტიტულების მიხედვით განისაზღვრებოდა და წოდებრიობის გამომხატველი ნიშნების დაცვას კანონი აწესრიგებდა. გაბატონებული ფენა უფრთხილდებოდა მოპოვებულ პრესტიჟულ მდგომარეობას და თავის უპირატესობას საუცხოო ქსოვილებით, ძვირფასი ქვებითა და კეთილშობილი ლითონებით უსვამდა ხაზს. საზოგადოებაში ამ წესის დამრღვევი მკაცრად ისჯებოდა.

აღნიშნული პერიოდის სამოსის საყოფაცხოვრებო, სოციალურ-ეკონომიკური და მეურნეობრივი ხასიათის ნიშნების გათვალისწინებით, შესაძლებელია მოხდეს მისი კლასიფიცირება (სქ. 2.1).

შუა საუკუნეების კოსტუმიდან ყველაზე საინტერესო და მრავალფეროვანი მაღალი ფენის სამოსია, რომელიც თავის მხრივ იყოფა ქვეკლასებად – სამეფო და დიდებულების სამოსი.

2.2. სამეფო სამოსი

ადრეული შუა საუკუნეების (V-IX სს) პერიოდის სამეფო სამოსის შესახებ წერილობითი წყაროები თუ იკონოგრაფიული მასალა მწირია. პირველ ცნობებს ქართველი მეფის სამოსის შესახებ ბიზანტიური წყაროები გვაწვდის (როგორც ზევით იყო აღნიშნული). წყაროების მიხედვით ლაზიკის მეფის სამოსი ბიზანტიურია (ბიზანტიის იმპერატორის საჩუქარია) და შედგება ხლამიდისა და სტიქარისაგან. ხლამიდი მართკუთხა ქსოვილის ნაჭერია, ზეწარივით, კუთხეები მომრგვალებული აქვს. კისერთან ფიბულით იკვრება, ხოლო სტიქარი პერანგისებური სამოსია (რომაელთა ტუნიკის მსგავსი).

ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ქართველი მეფეები ძვირფას საჩუქრებს მხოლოდ ბიზანტიის კეისრისგან როდი ღებულობდნენ. მათი გულის მოგებას თუ დამორჩილებას აღმოსავლეთის დიდი მბრძანებლებიც ცდილობდნენ (საქართველო ყოველთვის სანუკვარი ლუკმა იყო, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთისათის).

ისტორიულ-წერილობით წყაროში „ქართლის ცხოვრებაში“ მემატიანე ლეონტი მროველი მოგვითხრობს - „სამოსელი ხუასროვანი“... ხაზართა მეფემ უძღვნა გორგასალსა. [10] სპარსულად „ხოსროუ“ ნიშნავს ძლიერ მეფეს, ამიტომ „ხუასროვანი სამოსელი“ სამეფო სამოსელის აღმნიშვნელია, მაგრამ ამასთანავე, მეორე ვერსიის არსებობაც არ არის გამორიცხული, კერძოდ – ხუასროუ შესაძლოა ხორასანთან არის კავშირში, ამ შემთხვევაში ხორასნული სამოსი იგულისხმება, მითუფრო, რომ ხორასანი განთქმული იყო თალხი და მოწითალო მატყლისა და აქლემის ბეწვისაგან დამზადებული შალის ქსოვილით. ორივე განმარტება „სამოსელი ხუასროვანის“ აღმოსავლურ წარმოშობაზე მეტყველებს.

გაცილებით მეტი ისტორიული მასალა მოგვეპოვება შუა საუკუნეების მომდევნო პერიოდის – X-XIII საუკუნეების კოსტუმების შესწავლისათვის.

ამ დროისათვის ტანსაცმლის დამზადება უკვე მაღალ დონეზე მდგარა. როგორც ჩანს, თერძები (მკერავები) გამოცდილი უფროსის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ, რომელსაც მკერვალთუხუცესის ტიტული ჰქონდა მინიჭებული და მეფის კარზე საპატიო ადგილს იკავებდა. თერძების დახელოვნების დონეზე მათ მიერ შექმნილი სამეფო სამოსი მეტყველებდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სამოსი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა.

ამ პერიოდში საქართველოს სამეფო კარი კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ბიზანტიას. ქართველი მეფეები, და-

ვით აღმაშენებლის ჩათვლით (გიორგი I-ის გამოკლებით) ატარებდნენ ბიზანტიის სამეფო კარის ტიტულებს – სევასტოსი, მაგისტროსი, კურაპალატი, ნოველიმოსი. ამიტომ იმდროინდელი სამეფო სამოსი ბიზანტიური ტიპისაა, ბერძნული და ლათინური ენიდანაა გადმოღებული სამოსის აღმნიშვნელი ტერმინებიც.

ბიზანტიის დასუსტებისა და დაცემის შემდეგ ამ ტიპის სამოსი კვლავ დარჩა, ალბათ იმიტომ, რომ შუასაუკუნოებრივ ეპოქაში ბიზანტიის სამეფო კარის მოდა და ეტიკეტი ისეთსავე როლს ასრულებდა, როგორც შემდგომდროინდელი საფრანგეთის სამეფო კარის მოდა და ეტიკეტი [8]. ბიზანტიური სამეფო სამოსი საუკუნეების მანძილზე თითქმის უცვლელად შემორჩა არამარტო საქართველოში, არამედ ევროპის მრავალ სახელმწიფოში. მაგალითად რუსეთში ის ბატონობდა თითქმის 800 წელი [11] .

მეფე სხვადასხვა შემთხვევის გამო – საზეიმო-სარიტუალო, სადარბაზო, სანადირო, საშინაო-ყოველდღიური, სხვადასხვაგვარად იმოსებოდა.

მეფის **საზეიმო** სამოსის შემადგენელი კომპონენტებია: დიბიტისიონი, ინტერულა, მანტია, დიადიმი-ლორო, მანიაკი, სამკლავე, მოგვები და გვირგვინი. ამასთან მანტია, დიბიტისიონი, ინტერულა, მოგვები შესამოსელია, ხოლო დიადიმა-ლორო, მანიაკი, სამკლავე – შესამკობელი [8].

წერილობით ცნობებში დასახელებული ტერმინებიდან ყველა როდი გვხვდება. ძირითადად მოიხსენიება – „შესამოსელი მეფეთა“ („მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა“) [22]. ზოგი ტერმინი ფორმაშეცვლილია, მაგალითად დიბიტისიონი მოხსენებულია ბისიონად, ბისონად, ბისოვნად ან ბიზონად.

ტერმინი „დიბიტისიონი“ ზოგიერთი მკვლევარის აზრით ნაწარმოებია არაბული სიტყვიდან „dibetsch”, რაც ბრწყინვალე სამოსელს (ლათინურად dives) აღნიშნავს. ეს განმარტება ბევრ მკვლევარს არასწორად მიაჩნია. მათი აზრით ტერმინი „დიბიტი-

სიონი“ წარმომდგარია დალმატიის ცხენოსანთა რაზმის სახელწოდებიდან – „divitense“, ცხენოსნებს ემოსათ ტუნიკა-დალმატიკა, რომელსაც ბიზანტიელები „სტიხარე დიბიტისიონს“ (დალმატიკის ცხენოსანთა სტიქარს) უწოდებდნენ.

მკვლევარ ივ. ციციშვილის აზრით დიბიტისიონი ადვილად გამოსათქმელი ბისონის სახით დამკვიდრდა ქართულში [3].

პირველი ქართული წერილობითი წყარო, სადაც საუბარია ბისონის შესახებ, არის ”ქართლის ცხოვრების” ისტორიკოსის ჯუანშერის მატიანე „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ [12] – ”უძღვნა გორგასალმან... ბიზონი ზუზმა ხუთასი“.

ამ თხზულებაში ნახსენები ბიზონი ზუზმა ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილია, რომლისგანაც სამეფო სამოსელი მზადდება.

XII საუკუნიდან ბისონი მრავალ წერილობით ძეგლში მოიხსენიება. ასე მაგალითად: საკანონმდებლო ტრაქტატში „წესი და განგება მეფეთ კურთხევისა“ [13] ავტორი ამბობს - „აიღოს საკურთხევლისაგან ბისონი“, ან კიდევ „გამოუღოს ბისონი და შთააცვას თავის ხელითა”; იოანე შავთელი ”აბდულმესიაში” წერს „გვირგვინ-სკიპტრანი, ბისონ-მიტრანი / ძოწეულთა თანა შექსულნი“ [14] და სხვა მრავალნი.

პირველი ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ბისონი სამეფო ან სამღვდელთმთავრო სამოსია, დამზადებული იმავე სახელწოდების ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილისაგან [15].

ბისონის წინამორბედია ანტიკურ ბერძენთა ქიტონი და ძველ რომაელთა ტუნიკა-დალმატიკა, რომელმაც ბიზანტიაშიც დაიმკვიდრა ადგილი. რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი მეფეები ბიზანტიის სამეფო კარის ტიტუტლებსა და სამოსს ატარებდნენ, გასაკვირი არ არის, რომ ბისონმა საქართველოშიც ჰპოვა გავრცელება.

ბისონი არის გრძელი, პერანგისებური სამოსი (სასულიერო

ანაფორის მსგავსი). მისი კალთა ერთნაწილიანია (ნახ.2.1). ჩაცმის გაიოლების მიზნით ყელი ღრმად ამოჭრილია, ან შესაძლოა წინ ჩაჭრილია და საკინძით იბნევა, რაც დაფარულია ბრტყლად დაფენილი საყელოს მსგავსი ელემენტით – მანიაკით.

ბისონს აქვს გრძელი სახელოები, მისი ბოლო და სახელოს ბოლოები გაფორმებულია ოქროსფერი ფარჩის, ან ატლასის ზოლით, რომელზეც ოქრომკედით ამოქარგულია სხვადასხვა ორნამეტი, სტილიზებული ყვავილები და მცენარეები, ან შემკულია ძვირფასი ქვებით. ძირითადად ფიგურირებს მარგალიტი, ძოწი, სარდიონი, იასპი, აკიკი და სხვ.

ბისონის გარეგნული სახის დასადგენად წერილობით ცნობებს აჭარბებს ფრესკები მეფეთა პორტრეტებით (მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლევობა დაზიანებულია). ცხადია, აღნიშნულ პორტრეტებზე სამეფო პირები საზეიმო სამოსით არიან გამოსახულნი.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლი, რომელზეც ბისონით მოსილი პიროვნება შეიძლება ვიხილოთ, არის მცხეთის ჯვრის მონასტერი (VI ს), რომლის აღმოსავლეთის კედლის ერთ-ერთ ბარელიეფზე გამოსახულია ისტორიული პირი, ქართლის ერისმთავარი - სტეფანოზ პატრიკიოსი. მკვლევარი ივ.ციციშვილი აღნიშნულ პიროვნებაზე გამოთქვამს აზრს, რომ მას ჯუბა აცვია [3] რაც სადავოა, რადგან ერისმთავრის სამოსი ბისონის იდენტურია (დანართი1).

უძველესია ასევე X საუკუნით დათარიღებული ტიხრული მინანქარი, რომელზეც სამეფო წყვილი ძვირფას სამოსშია წარმოდგენილი (ხახულის კარედი ხატის ფრაგმენტი) (დანართი 2).

ძალზე საყურადღებოა XI საუკუნის მინანქარი – მეფე ბაგრატ IV-ის ასულის – მარიამისა და მისი მეუღლის – ბიზანტიელი იმპერატორის მიხეილ VII დუკას გამოსახულებით. ეს მინანქარი ფერთა კოლორიტით, დახვეწილობითა და სინატიფით ტიხრული მინანქრის რაფინირებულ შედევრს წარმოადგენს (დანართი

3).

ბისონით არიან გამოსახული მეფეები ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, გიორგი III, თამარ მეფე, დემეტრე I, ლევან კახთა მეფე და სხვანი X – XVII საუკუნის ძეგლებზე (ატენის სიონი, ბერთუბნის მონასტერი, გელათის ღვთისმშობლის მონასტერი, შუამთის ტაძარი, ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, მაცხვარიშის ეკლესია, ალვანის ნათლისმცემლის ეკლესია, გრემის მთავარანგელოზის ეკლესია და სხვ. (დანართი 4-7)).



ნახ. 2.1. სამეფო ბისონი: ა –VI-VII სს .; ბ – X-XII სს.;
გ –XIII ს.; დ – მოკლე ბისონი XV ს.

დასახელებული ბისონები ერთმანეთის მსგავსია, მხოლოდ

მოგვიანებით გამოჩნდა ბისონების რამდანადმე განსხვავებული ფორმა, კერძოდ XVI საკუნის 30-იანი წლების ფრესკაზე ალვანის ეკლესიაში ლევან-კახთა მეფის ბისონს სახელოები არ აქვს, ხოლო გრემის მთავარანგელოზის ეკლესიის ფრესკაზე იგივე მეფის ბისონი მოკლეა, მხოლოდ მუხლს ფარავს.

უკვე განსხვავებული სამეფო სამოსითაა გამოსახული ისევ ლევან კახთა მეფე ნეკრესის მთავარანგელოზის ეკლესიის ფრესკაზე. ამ სამოსის კალთა შუაში ყელიდან ბოლომდე ჩახსნილია, შესაკრავები არ აქვს. სამოსს აქვს სამკუთხედისებური, გადაფენილი განსხვავებული ფერისა და მასალის საყელო და დეკორაციული გრძელი სახელოები (”ცრუ სახელოები”). მკვლევარ საყვარელიძის აზრით [39] ამ ფრესკაზე მეფე საზეიმო სამოსით არ არის გამოსახული და ეს ყოველდღიური ჩასაცმელია. ეს მოსაზრება ეჭვს ბადებს, რადგან კვლევის შედეგად დადგინდა,რომ აღნიშნული სამოსი დიდებულთა სკარამანგია.

სამეფო სამოსის კიდევ ერთი შემადგენელი კომპონენტია ინტერულა. ის ბისონის შიგნით ჩასაცმელია. ინტერულა წერილობით წყაროებში სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიება. X საუკუნემდე გვხვდება „კუართის“ სახელწოდებით, შემდეგ „ფესუედი სამოსელი“ და „პოდირი“.

ადრეული შუა საუკუნეების თხზულებაში „წამება და ღვაწლი წმინდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი” ავტორი გვიამბობს: ”მიხუდა წილითა კუართი უფლისა ჩუენისა ელიოზს”, ან კიდევ ”განიყუეს სამოსელი ჩემი და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი” [21]; ”მაქვს-ღა პორფირთა შთაცმა პოდირთა / სამარაგდონი, ერთგან ექსულნი” [14].

კუართი – კვართი, ბისონის მსგავსად ანტიკურ საბერძნეთში გავრცელებული ქიტონისა და ანტიკურ რომსა და მოგვიანებით ბიზანტიაში გავრცელებული ტუნიკის ნაირსახეობაა.

X საუკუნის წერილობით ძეგლებში ვკითხულობთ: „საკურ-

თხევლისა მსახურებასა ფესუედითა სამოსელითა და ტყავითა არა იკადრებოდა“[16] ; „უპყრა ფესუსა სამოსლის, მისისა” [17]; „სნეული განიკურნებოდეს, რომელნი შეეხსნეს ფესუსა სამოსლისა მისისა“ [18]; „შემკული და შემოსილი ფერად-ფერადითა, ფესვედითა ოქროიანითა, ბისიონითა და ზეზითა“ [19] და სხვა..

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ფესუდი ფესვთან არის დაკავშირებული, რომელიც (ფესუი) „კვლად სამოსელის ქვედა კერძოი ქობაა“, ფესვედი კი საბასვე განმარტებით - „ჰურიანთა მწიგნობარნი ფესვთა გამოიბამდნენ სამოსელთა ქვეშ მოსახსენებლად მცნებათა უფლისათა’’ [15];

ჩუბინაშვილის განმარტებით „ფესვედი არის გრძელი სამოსელი დიდებულთა ქალთა, ოქროქსოვილი და შემკული თვალმარგალიტით”.

ივ. ჯავახიშვილის აზრით ფესუედი ”პოდირის” შესატყვისი უნდა იყოს, რომელიც პერანგის მსგავს სამოსადაა მიჩნეული [6];

მკვლევარი ივ. ციციშვილი მიიჩნევს, რომ ფესვედი ქვედა ტუნიკას შეესიტყვისება [3].

აღნიშნული განმარტებებისა და წერილობითი წყაროების შეჯერება-გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ფესუი [17; [18] სამოსის კალთის ქვედა ქობა ან კალთის ქვედა ნაპირია, ხოლო ფესვედი [19] - სამოსი.

თუკი ფესუედისა და კუართის განმარტებას ერთმანეთს შევადარებით, დავასკვნით, რომ ორივე ერთი და იგივე სამოსის აღმნიშვნელი ტერმინია და პერანგისებურ, სახელოებიან შიგა ტუნიკას წარმოადგენს (ნახ. 2.2). ზოგიერთ შემთხვევაში კუართი ბისონზე გრძელი და განიერია, მისი ქვედა მოქარგული ნაპირი მოჩანს ბისონის ქვევით.

ადრეული შუა საუკუნეების (V – IX სს) არქიტექტურულ ძეგლებს და იკონოგრაფიულ ნიმუშებში მრავლად მოგვეპოვება ფესუედით (კვართით) შემოსილი ბიბლიური პერსონაჟები, წმინ-

და მოწამეები, საერო და სასულიერო პირები. გმოვყოფთ ბარელიეფს მცხეთის ჯვრის მონასტრის აღმოსავლეთის კედელზე – ქტიტორთა გამოსახულებით და მაცხოვრის ბარელიეფს ატენის სიონის (VII ს) აღმოსავლეთის კედელზე, ხოლო იკონოგრაფიული ნიმუშებიდან მარტვილის კარედის – "ვედრების" (IX ს.) შუა ნაწილზე წარმოდგენილ ფიგურებს (ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი), რომლებიც ფესუედით (კვართით) არიან შემოსილები. ერთ-ერთ ფიგურას მოყვითალო კვართი აცვია და ბეწვით მორთული მოსასხამი აქვს მოხურული ბისონის შიგნით ფესუედი მოუჩანს ბეთანიის ფრესკაზე მეფე გიორგი III. (XII-ს) (დანართი 7).

უფრო გვიანდელი პერიოდის (XIV ს) მოკლე ფესუედი (ინტერულა) შეიძლება ვიხილოთ საფარის მონასტრის ფრესკაზე, სადაც გამოსახულია მანდატურთუხუცესი ბექა (დანართი 8) და სარგის სამცხის სპასარალი (დანართი 9). ორივე პიროვნებას კაბის ქვეშ ფესუედის (შედარებით მოკლე) ქვედა ნაწილი მოუჩანს. ასევე ფესვედის (ინტერულას) სახელოები მოჩანს XVI საუკუნის ფრესკებზე ლევან მეფის გამოსახულებით ალვანისა და ნეკრესის ეკლესიებში; გრძელი ფესუედი (ინტერულა) მოუჩანს მოკლე ბისონის ქვეშ ლევან მეფეს გრემის ეკლესიის (XVI ს) ფრესკაზე).

საზეიმო სამეფო სამოსის აუცილებელ აქსესუარებს წარმოედგენს შესამკობელ-დეკორატიული ელემენტები: დიადიმილორო (ლორონი), მანიაკი, სამკლავე, გვირგვინი.



ა ბ

ნახ. 2.2 ინტერულა-ფესვედი (პოდირი):
ა – კვართი (V-VIIV სს.); ბ – ფესვედი (X-XVI სს.)

დიადიმი-ლორო ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით შემკული ოქროქსოვილი ფარჩის ფართო სახვევია. მან ხანგრძლივი ტრანსფორმაცია განიცადა, მისი წინამორბედია რომაული „ტოგა“. ვინაიდან ძველი რომაული ტოგა მძიმე და უხერხული იყო სატარებლად, მას მხოლოდ განსაკუთრებულად საზეიმო შემთხვევაში ხმარობდნენ. ყოველდღიურად კი რომაელები ეტრუსკებისგან ნასესხებ მოსასხამს ე.წ. „ტრაბეას“ ატარებდნენ (ნახ. 2.3, ა). ტრაბეა ცალ ბოლოზე ძალზე გაგანიერებული შარფია. მისი ერთი ბოლო ვიწრო ზოლია, რომელიც სამოსის წინ ვერტიკალურად ეშვება. ტრაბეა თავისებური წესით ეხვევა ტანზე, გაფართოებული ნაწილი მარჯვნიდან მარცხნისაკენ მკლავზეა გადაფენილი და ძირს ეშვება. ის დროთა განმავლობაში თანაბარი განის მართკუთხა ნაჭრად გადაიქცა და „ლოროს“ სახელწოდება მიიღო. (იგივე ლორი, ლორონი; Loros, lorum - თასმა ქამარი, სარტყელი). XI საუკუნიდან ბიზანტიაში ლოროს დიადიმა უწოდეს და ამ ტერმინით მოიხსენიება ქართულ წერილობით წყაროებში (ნახ. 2.3, ბ). ამ პერიოდიდან დაიწყეს დიადიმას მორთვა ძვირფა-

სი ქვებითა და მარგალიტებით, რის შედეგადაც დამძიმდა და შეუძლებელი შეიქნა მისი მოხმარება, ამის გამო ის დაყოფილ იქნა ცალკეულ ნაწილებად, რომელთაც ერთმანეთზე აკერებდნენ ან დუგმებით ამაგრებდნენ. გულზე გადაჯვარედინებული ნაწილის ნაცვლად ხმარებაში იყო ბრტყლად დაფენილი საყელოს მსგავსი მრგვალი მანიაკი, რომელიც ქართულ წყაროებში სხვადასხვა ტერმინებით გვხვდება – „საბეჭური”, „სამხურე“, „ბეჭმანი“. ბიზანტიაში მანიაკი სპარსეთიდან შეტანილია, სადაც იგი სამხედრო პირთა სამკაულად ითვლებოდა. სავარაუდოა, რომ მანიაკი საქართველოშიც სპარსეთიდან გავრცელდა და შეერწყა ბიზანტიურ ლოროს.

დიადიმის ნაწილებად დაყოფამ მისი სხვადასხვა სახეობები წარმოქმნა, სახელდობრ,

ა. როცა დიადემის ვერტიკალური ბოლო გულზე გადაჯვარედინებულ ნაწილზეა დამაგრებული (ნახ. 2.3, ბ);

ბ. დიადემის ვერტიკალური ბოლო მანიაკიდანაა დაშვებული (ნახ. 2.3, გ).



ა ბ გ დ

ნახ. 2.3. ლოროს ევოლუცია: ა – ბიზანტიური ტრაბეა;
ბ – ლორო; გ – მანიაკი ლოროთი; დ – მანიაკი თორაკიათი

ზოგიერთ შემთხვევაში სამეფო სამოსი დიადიმასთან ერთად შემკობილია თორაკიათი (ნახ.2.3, დ).

თორაკია (თორაკიონი) არის ფარისებური ფორმის ნაწილი, რომელიც დიადიმას მსგავსად მორთულია ძვირფასი თვლებით. ის ბისიონზე წელს ქვემოთ მაგრდება

დიადიმი - ლორო არქიტექტურულ ძეგლებსა და იკონოგრაფიულ ნიმუშებზე შეიძლება ვიხილოთ ბისონთან ერთად, ხოლო თორაკია მინანქარზე მიხეილ VII დუკასა და მარიამის გამოსახულებით (დანართი 3), ატენის სიონში - ბორენა დედოფლისა (დანართი 10) და გელათის ტაძარში – ელენე დედოფლის სამოსზე (დანართი 2).

საზეიმო სამეფო სამოსის შემამკობელი ელემენტი - სამკლავე (სამხრე) არის იდაყვის ზემოთ სახვევი (ნახ. 2.4). ეს ტერმინი გვხვდება როგორც ისტორიულ, ისე ლიტერატურულ წყაროებში: „ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გადაგწვდებოდეს“; „თქვა: მე მაქვს სამხრე, რომელი კვლავ წინა მკლავსა მას ების“; „მომართვა ესე საბამი მკლავისა, მკლავსა შევიბი მაშინვე“ [22]. მკვლევართა აზრით, სამკლავეები წარმოიშვა სპარსეთში, როგორც ნაწილი სამხედრო სამოსელისა. IV საუკუნიდან ის ბიზანტიის მეფეთა, დიდებულთა და უმაღლეს სასულიერო პირთა ტანსაცმლის აუცილებელი ელემენტი გახდა. ვარაუდობენ, რომ საქართველოში სამკლავე X საუკუნიდან გავრცელდა (თუმცა, სამკლავე შეინიშნება მცხეთის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ბარელიეფზე, მაგრამ დაზიანების გამო გარკვევით არ ჩანს).



ნახ. 2.4. სამკლავე

დეკორატიული ელემენტების – დიადიმი-ლოროს, მანიაკის, თორაკიონისა და სამკლავეს დასამზადებლად ფარჩა, ოქროქსოვილი ან თეთრი ატლასი არის გამოყენებული. ყველა ელემენტს აქვს სარჩული, შემკულია მარგალიტებითა და სხვადასხვა ფერის ძვირფასი ქვებით.

მეფეთა და დიდგვაროვანთა სამოსის ერთ-ერთი შემდეგი შემადგენელი ნაწილია მოსასხამი, ე.წ. „მანტია“, ანუ „პორფირი“. პირველი ქართული წერილობითი წყარო, სადაც მოიხსენიება პორფირი, არის X საუკუნის ლიტერატურული ძეგლი, აგიოგრაფიული თხზულება ”სიბრძნე ბალაჰვარისი”. აქ ნათქვამია – „მოსძრცვიან პორფირსა მეფობისასა და ორითა სამოსელითა მისცემენ მას ექსორიობად“ [23]; „წყნარი და მკრძალი, მოყმეთა ძალი, მეფეთა სკიპტრა - პორფირთა მცმელი“ [24]; „გვირგვინ-სკიპტრანი, ბისონ-მიტრანი ძოწეულითა თანა შექსულნი, / გაქვს -ღა პორფირთა შთაცმა...“ [25]; „აღიღოს პორფირი, ჯვარი დასწეროს და შთააცვას“ [13] და სხვა.

პორფირის წინამორბედად შეიძლება ჩავთვალოთ ანტიკური ბერძნების ხლამისი და ძველი რომაელების ლაცერნა.

პორფირი არის ძოწისფერი მოსასხამი – მანტია, რომელიც საკინძით იკვრება წინ, ან მარჯვენა მხარეს (ნახ. 2.5, ა).



ა ბ

ნახ. 2.5. სამეფო მოსასხამი: ა – გარეგნული იერი; ბ – კონსტრუქცია

პორფირმა სახელწოდება მიიღო უძველესი დროიდან ცნო-

ბილი საღებავის – პურპურის სახელიდან, რაც ქართულად მეწამულს აღნიშნავს. საღებავს ღებულობდნენ მოლუსკი - პურპურას (purpura) წვენიდან. ის იძლეოდა შეფერილობის მთელ გამას - მუქი იისფრიდან, წითელსა და ყავისფრამდე. მეწამული ფერის (ძოწეული, ძოწისფერი) მოსასხამი ძველთაგანვე უმაღლესი ტიტულისა და მდგომარეობის სიმბოლოდ ითვლებოდა.

აღსანიშნავია, რომ პორფირისა და დიზდიმი-ლოროს ერთდოულად ტარება მიღებული არ იყო, არ შეიძლებოდა დიადიმი-ლორო პორფირით დაფარულიყო.

პორფირით გამოსახული არიან მეფე სუმბატ აშოტის ძე, დანიელ წინასწარმეტყველი და წმინდა მოწამე ატენის სიონის (X-XI სს.) ფრესკებზე, ბიბლიური პერსონაჟები გელათის ღვთისმშობლის ტაძრის (XVI ს) ფრესკებზე, კახთა მეფე ლევანი და დედოფალი თინათინი შუამთის ტაძრის ფრესკაზე (XVI ს) და ისევ მეფე ლევანი და წმინდა მხედარი გრემის მთავარანგელოზის (XVI ს) ეკლესიის ფრესკაზე და სხვა მრავალნი.

სამეფო სამოსის აუცილებელი შესამკობელი ელემენტია გვირგვინი. ის სამეფო რეგალიათაც ითვლება.

გვირგვინის უძველეს წინამორბედად ყვავილთა და ფოთოლთა გირლიანდია მიჩნეული, რომელსაც ატარებდნენ, როგორც სადღესასწაულო სამკაულს, ან, როგორც საზოგადოებრივ ჯილდოს (დაფნის გვირგვინი), ხოლო სამეფო გვირგვინის წინამორბედად – ხილაბანდი ანუ თავსაკრავი-დიადემა. ის წარმოადგენდა სხვადასხვა მასალისა და დეკორის ქსოვილის ზოლს, ხოლო მოგვიანებით ძვირფასი ლითონის ბრყელ რგოლს. ასეთი სახის დიადემებს, როგორც მეუფების სიმბოლოს, თავდაპირველად აღმოსავლეთში ატარებდნენ, შემდეგ ძველ რომსა და ბიზანტიაში. ბიზანტიის იმპერიაში, სადაც ბატონობდა ფუფუნების კულტი, დაიწყეს მისი გაფორმება, რის შედეგადაც მიიღო გვირგვინის სახე. ცნობილი არ არის, როდიდან დაიწყეს ქარ-

თველმა მეფეებმა გვირგვინით თავის შემკობა, მაგრამ ვიცით ბიზანტიური წყაროებიდან, რომ ქართველმა უფლისწულმა წათემ VI საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორისაგან მიიღო ოქროს სამეფო გვირგვინი [3].

ქალის სამეფო სამოსი მამაკაცის სამეფო სამოსისაგან არ განსხვავდება. ერთი და იგივეა შემადგენელი ნაწილებიც და აღმნიშვნელი ტერმინებიც.

როგორც აღვნიშნეთ, მეფე სხვადასხვა შემთხვევისათვის სხვადასხვაგვარად იმოსებოდა. ამას მოწმობს წერილობითი ძეგლები. ასე მაგალითად: ისტორიულ-საკანონმდებლო დოკუმენტში – „გარიგება ხელმწიფის კარისა“ მოყვანილია, რომ **სანადიროდ** წასვლისას მონადირეთუხუცესი მეფეს (ვარაუდობენ, რომ საუბარია თამარ მეფის მამაზე გიორგი III-ზე, ან შვილზე ლაშა--გიორგიზე) შემოსავს „ყვითლით ყაბარჩით, სახელმოკლით, ტყავიანითა, მოყვენთუსლითა,... ქუდსა დაარქვამს კარგისა ყვინდიზისა, მაღლა აშვერილსა“.

სულხან-საბა ორბელიანი „ყაბაჩას“ („ყაბარჩას“) ასე განმარტავს: „ლაბადა, რომელი სპარსნი ქალნი შეიმოსენ მოკლესა გარეგნივ“ [15]. სამწუხაროდ, სახელოვან ლექსიკოგრაფს სიტყვა „ლაბადას“ მნიშვნელობა განმარტებული არა აქვს, მაგრამ წყაროებიდან ცნობილია, რომ ყაბაჩა ორივე სქესის სამოსია.

ზემოდასახელებულ დოკუმენტში მოყვანილი სანადიროდ გამოყენებული სამოსი ტყავის კაბა-ყაბარჩაა, რომელიც ყვინდიზის ანუ ყარყუმის ბეწვითაა გაწყობილი. აღნიშნული ტყავის ყაბარჩის გარეგნული სახისა და სილუეტის დადგენისათვის დავეყრდენით ბერთუბნის მონასტრის ფრესკაზე გამოსახული ლაშა-გიორგის პორტრეტს (დანართი 18). აქ წარმოდგენილი კაბა ტყავის ყაბარჩა უნდა იყოს, ამასთან ისიც ბეწვითაა გაწყობილი (ნახ.2.6).

ნახ.2.6. მეფე ლაშა-გიორგის სანადირო ყაბარჩა

ყაბარჩა გამოწყობილი სილუეტისაა, წელში შესამჩნევადაა დავიწროებული და ქვემოთ ფართოვდება, მუხლს ფარავს. კალთა ასიმეტრიულია, შესაბნევი გვერდზე აქვს დამუშავებული. მარჯვენა კალთის ქვემო ნაწილი მუხლის ადგილმდებარეობაში მართკუთხედისებურადაა ამოჭრილი. ეს ამოჭრილობა შეიძლება უბრალოდ დეკორატიული გადაწყვეტა იყოს, ან ცხენზე მოხერხებულად შეჯდომისათვის იყოს გათვალისწინებული. ყაბარჩის კალთები, ყელის განაჭერი ნაპირი, ბოლო განაჭერი ნაპირი და სახელოს ბოლო დამატებით გაფორმებულია გრეხილი ძაფის სტილიზებული ყვავილებით და ჩასმულია მსხლის ფორმის ცისფერი ქვები. ყაბარჩას აქვს ქამარი.

ყოველდღიური (ე.წ სამუშაო) სამეფო სამოსელი წერილობით წყაროებში ზოგადი ტერმინით – ”უმეჯლიშო სამოსელი”-ით მოიხსენიება. ის დიდებულთა სამოსის მსგავსია და ცალკე აღარ გამოვყოფთ.

2.3. დიდებულების სამოსი

შუა საუკუნეების კოსტუმის კლასიფიკაციაში მომდევნო ადგილს იკავებს დიდებულების სამოსი. დიდებულების საზეიმო სამოსი წერილობით წყაროებში მოიხსენიება ზოგადი ტერმინით – „სასალუქო ჩასაცმელი“. საზეიმო სამოსი იყოფა ქვეკლასებად, ესენია: მოსასხამები, ზედა სამოსი, შიგა სამოსი, თეთრეული, თავსაბურავები.

მომსასხამის ტიპის სამოსი უძველესი დროიდან იყო გავრცელებული. ის თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა – მოსაბურავი და წამოსასხამი. მოსაბურავი სამოსი ფორმისა და კონსტრუქციის სიმარტივით გამოირჩევა (ნახ.2.7). მოსაბურავი უძველეს წერილობით წყაროებში სხვადასხვა ტერმინით გვხვდება. ესენია: ზეწარი, არდაგი, ბურნუსი, დასაბურველი, აჯიღა, სუნდუზი, სუდარა, ჩილანი, ჩარდახი და სხვა. ასე მაგალითად: -„შებლარდნილი ცეცხლის ზეწრითა“ [10]; „აჯიღითა მოიბურა ტანი, პირი“; „ზეწარითა მოუბურავს პირი, ბრძენთა საქებარი“ [22]; „არდაგი ... წელთა მომერტყას“ [14]; „შეიქმნა დასაბურველი პირისა მზემან ჭაბუკმან“ [26]. ასეთი მოსაბურავები ფართოდ იყო გავრცელებული როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყნებში. მოსაბურავების წინამორბედია ანტიკურ ბერძენთა ჰიმატიონი, ძველ რომაელთა პალა და ბიზანტიელთა პალიუმი. ისინი აღმოსავლეთში ჩადრის სახელწოდებითაა ცნობილი.



ნახ.2.7 მოსაბურავი აჯიღა



ნახ.2.8 პალეკარტი

მოგვიანებით ზოგიერთი სახეობის მოსაბურავებიდან ლაბა-

და წარმოიშვა (მაგალითად ბურნუსი – მოსაბურავი არაბი ბედუ-ინებისა, თავდაპირველად შეუკერავი წამოსასხამი იყო, შემდეგ კაპიშონიან საწვიმარ ლაბადად გადაიქცა) და ორივემ ერთდრო-ულად დიდი ხნის მანძილზე იარსება. XIX საუკუნის შუა წლე-ბამდე საქართველოში მანდილოსნებს სამოსის ზემოთ მობურუ-ლი ჰქონდათ თეთრი მოსასხამი - აჯიღა, რომელსაც ჩადრსაც უწოდებდენ, ასეთი მოსასხამი თავსაბურავსა და ტანსაცმელს იცავდა მზისა და მტვრისაგან.

საბურველი ზეწრის ფორმის, მაგრამ მასზე საკმაოდ დიდი მოსასხამია. მისი ქვედა ნაპირები მომრგვალებულია. ის თავსა და ტანს ერთიანად ფარავს და ორივე მხარეს სარტყელში ჩაიკე-ცება. საბურველი ძირითადად თეთრი ფერისაა, მაგრამ არსე-ბობს ფერადიც.

არქიტექტურული ძეგლებიდან ამგვარი საბურველები შეიძ-ლება ვიხილოთ ბიბლიურ პერსონაჟებსა და სხვა რელიგიური სიუჟეტის ამსახველ ფრესკებზე, ასევე მცხეთის ჯვრის მონას-ტრის ბარელიეფებზე – ქართლის ერისმთავართა და ქტიტორთა გამოსახულებით და მრავალ იკონოგრაფიულ ნიმუშებზე.

წამოსასხამის ტიპის სამოსი სხვადასხვა სახისაა, ესენია: ოვა-ლური ფორმის, რომელსაც თავის გამოსაყოფი აქვს ამოჭრილი; ნაბდისმაგვარი უსახელო; დაგრძელებული სახელოებით; ე.წ. „ცრუ“ სახელოებით (გასაფორმებელი, დეკორატიული სახელოებით) და სხვა. გვხვდება ფარჩის, ოქროქსოვილისა და ბეწვისაგან დამზადებული მოსასხამები, ასევე მოსასხამები სარჩულის გარეშე და ქსოვილის, ან ბეწვის სარჩულით.

წერილობით ძეგლებში მოსასხამები სხავადასვხა ტერმინე-ბით მოიხსენიება – „პალეკარტი“, „გირჯაკი“, „კენდონი“, და სხვა. ასე მაგალითად შუშანიკს „ანტიოქიის პალეკარტი“ ემოსა. ამ ტერმინის განსაზღვრისათვის სულხან-საბას მივმართეთ, მართა-ლია, მას არა აქვს მოცემული მისი განმარტება, მაგრამ ახსენებს,

რომ „პალეკარტი“ წმინდა ბასილს აცვია. წმ. ბასილის გამოსახულება მრავლადაა აღბეჭდილი მონუმენტური ფერწერის, იკონოგრაფიისა და მინიატურული ფერწერის ნიმუშებზე, მაგალითისათვის მოვიყვანთ ატენის სიონის (VIIს.) ფრესკასა და შემოქმედის მონასტრის ღვთისმშობლის ჭედური ხატიდან (X VIIს.) ფრაგმენტს – წმ. ბასილის გამოსახულებით.

წმინდანის სამოსზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ პალეკარტი არის ოვალური ფორმის საკმაოდ დიდი ქსოვილი, რომელსაც შუაში თავის გასაყოფი აქვს ამოჭრილი (ნახ. 2.8).

პალეკარტის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს ანტიკურ რომაელთა მოსასხამი –ოვალური ფორმის პენულა, რომელსაც ასევე აქვს თავის გამოსაყოფი შუაში გამოჭრილი.

წმინდა ბასილის გარდა აღნიშნული სამოსით გამოსახულნი არიან სხვა ბიბლიური პერსონაჟებიც სხვადასხვა ფრესკებსა და იკონოგრაფიული და მინიატურული ფერწერის ნიმუშებზე.

ნაბდისმაგვარი უსახელო წამოსასხამების აღმნიშვნელი ტერმინები მრავლად გვხვდება წერილობით ძეგლებში. ესენია: „გირჯაკი“, „ხალენი“, „ღართი“, „სტეოედი“ და სხვა (ასეთივე მოსასხამების ტიპს განეკუთვნება სემეფო მანტია – იგივე პორფირი). ასე, მაგალითად, იაკობ ცურტაველი „შუშანიკის წამებაში“ მოგვითხრობს – „ქვესაგებლად იყო გირჯაკი ერთი“; ბასილი ზარზმელი წერს –„კაცნი შემოსილნი ხალენებითა უცხოითა მეუდაბნოეთაითა“ [27]; ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ – „სამოსელი ძისა ღმრთისა აქა არს, და ხალენითა მის...“ [10]; ან კიდევ: „შავნი ღართნი ტანსა ეცვნეს“ [26]; „საწვიმარსა ქვეშე სტეოედს ფარული“ [10]. აქ დასახელებული – გირჯაკი, ღართი, ხალენი, საწვიმარი სტეოედი უსახელო ნაბდისმაგვარი წამოსასხამებია. ამასთან ხალენი ცხვრის, თხის ან აქლემის მატყლისაგან დამზადებული ქსოვილის მოსასხამია; სტეოედი – აქლემის ტყავისა, ხოლო ღართი შავი ცხვრის მატყლისაგან დამზა-

დებული მოსასხამია.

აღნიშნული მოსასხამების გარეგნული სახის წარმოდგენისათვის ვისარგებლეთ VII საუკუნის არქიტექტურული ძეგლის – ატენის სიონის მონასტრის აღმოსავლეთის კედლის ბარელიეფით, სადაც წარმოდგენილია ერთ-ერთი ქტიტორი (ტაძრის აღმშენებელი) – უსახელო ნაბდისმაგვარი გრძელი მოსასხამით (დანართი 11). მოსასხამი კალთაზე იკვრება დეკორატიული, ბაფთისმაგვარი სტილიზაციის ორი ფიბულით, სამოსი ბოლოზე, კალთისა და კისრის ნაპირებზე გაფორმებულია დეკორატიული არშიით (ნახ. 2.9).

მოსასხამის ტიპის სამოსელთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე წერილობით ძეგლებში მოხსენებული "საგდებელი" და "კენდონი" (ნახ. 2.10).

აღნიშნული სამოსით უნდა იყოს გამოსახული ატენის სიონის მონასტრის ბარელიეფზე ისტორიული პირი, ტაძრის ერთ-ერთი აღმშენებელი ქტიტორი, ქტიტორს გრძელ სამოსზე მოკლე მოსასხამი აქვს წამოხურული (დანართი 12), მოსასხამის გოფრირებული დეკორით გამოსახვა ბეწვის ფაქტურის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

ასეთივე მოსასხამ სამოსთა რიცხვს მიეკუთვნება „საბეჭური"– „სამხურე", რომელიც ზოგიერთ წყაროში „მანიაკის" სახელწოდებითაც არის მოყვანილი. ასეთი საბეჭურითაა გამოსახული ერთ-ერთი ქტიტორი ატენის სიონის ტაძრის ბარელიეფზე (დანართი 13). მცირე ზომის (საყელოსებური) წამოსსხამი კისერთან ერთგვარი საკინძით - ფიბულით იკვრება; ასევე, შოთა რუსთაველი იერუსალიმის ფრესკაზე და სამეფო პერსონები სხვადასხვა ფრესკებზე (ნახ 2.11).

მოსასხამ სამოსთა რიგში ცალკე უნდა გამოვყოთ დიდებულთა სამოსი – სკარამანგი. ის მოსასხამის ძალზე საინტერესო სახეობას წარმოადგენს. სკარამანგი მრავალ წერილობით წყაროშია

მოხსენიებული: „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე ჯუანშერი წერს – „უძღვნა გორგასალმან... სტავრა სკარამანგი“ [12]. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გიორგი ათონელი მოგვითხრობს – „და მისცეს კარის ეკლესიას... ორნი სკარამანგნი და ორნი ჯორნი“ [28], ან კიდევ, მოსე ხონელი ამბობს - „კაცნი შემოსილნი სკამარანგითა, პიროქროითა რიდითა და ოქროითა სარტყელითა“ [26] და სხვა [42].



ნახ. 2.9 გირჯაკი (ღართი, სტეოედი, ხალენი)

ნახ. 2.10. საგდებელი კენდონი



ნახ.2.11. მცირე ზომის მოსასხამები: ა – სამხურე; ბ – საბეჭური (ბეჭმანი); გ – მანიაკი

სკარამანგის გარეგნული სახის დადგენაში გვეხმარება მრავალი არქიტექტურული ძეგლის ბარელიეფები, მონუმენტური ფერწერის, მინიატურული ფერწერის და იკონოგრაფიის სხვა ნიმუშები. ჩვენამდე მოღწეული უპირველესი ნიმუშია მცხეთის ჯვრის მონასტრის (VI ს.) ბარელიეფებზე გამოსახული ქტიტორების, ქართლის ერისთავების - დემეტრე ევპატოსის და ადარნასეს

და ატენის სიონის (VII ს.) ბარელიეფზე ნერსე სტეფანოზის (დანართი 14) სამოსები (ნახ 2.12,ა,ბ). ასეთივე სამოსითაა გამოსახული ხობის მონასტრის (XII ს.) ფრესკაზე ნათელა დადიანი (ნახ 2.12,გ), იერუსალიმის პალესტინის (XII ს.) ჯვრის მონასტრის ფრესკაზე – შოთა რუსთაველი (დანართი 15); ნეკრესის მთავარანგელოზის ეკლესიის ფრესკაზე (XVIს) – მეფე ლევანი, ბუგეულის ღვთისმშობლის ეკლესიის (XVI-XVII სს.) ფრესკაზე – რაჭის დიდებულის მეუღლე კეკლუცა ლასხიშვილი, პეტრიწონის ქართველთა სავანის მთავარი ეკლესიის ფრესკაზე ქტიტორი – გიორგი; ასევე XVI საუკუნეში უცნობი მხატვრის მიერ შესრულებულ „ვეფხვისტყაოსნის“ მინიატურაზე – მეფე როსტევანი (ნახ. 2.12, დ) და სხვანი.



ნახ. 2.12. სკარამანგი: ა – ქართლის ერისთავის (VIს.);
ბ – პერანგისებური (VIIს.); გ–ქალის (XIIს.); დ – სამეფო (XVIს.)

ზემოდასახელებულ ისტორიულ პირთა სამოსი ერთმანეთის მსგავსია. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს პალესტინაში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკაზე გამოსახული შოთა რუსთაველის სამოსი. ზოგი მკვლევარი მას ავტოპორტრეტადაც მიიჩნევს. ამ ფრესკაზე შოთა გამოსახულია ქართველი დიდებულისათვის დამახასიათებელი საერისკაცო სამოსში. მხრებზე მოსხმული აქვს ძოწეული მოსასხამი სკარამანგი, ყარყუმის ბეწვის საყელოთი და ბეწვისავე სარჩულით. სკარამანგს აქვს ვიწრო, გრძელი სახელოები, რომელიც მუხლამდე ეშვება. ის კისერთან საკინძითაა შეკრული. სკარამანგი მორთულია ძვირფასი თეთრი ფერის ქვებით.

ყველა ზემოთქმულ სამოსზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ სკარამანგი არის მოსასხამი, რომელიც შეიძლება საჭიროებისა და სურვილისამებრ შემოსაცმელიც იყოს, იკვრება საკინძით, აქვს გრძელი ვიწრო სახელოები, რომელთა სიგრძე მუხლამდე და ხშირად კოჭამდეც აღწევს. სახელო იღლიიდან იდაყვამდე გაუკერავია, რისი საშუალებითაც შეიძლება მისი სხვადასხვა წესით მოხმარება:

1. თუკი სახელოები დანიშნულებისამებრ არ იქნება გამოყენებული (შოთა რუსთაველის ფრესკა, ბუგეულის ეკლესიის ფრესკა) სკარამანგი მოსასხამის შთაბეჭდილებას ქმნის;

2. თუკი სახელოები ხელის ჩასაყოფადაა გამოყენებული (სიცივეში გათბობის მიზნით), ნაბდისმაგვარ შემოსაცმელს წააგავს (ატენის სიონის ბარიელიფზე ნერსე სტეფანოზი);

3. თუკი ხელები სახელოს იღლიის ქვევით იდაყვამდე გაუკერავ ნაწილშია გამოყოფილი და სახელოები ზურგის მხრიდან ძირსაა დაშვებული (ნათელა დადიანი ხობის მონასტრის ფრესკაზე, ლევან კახთა მეფე ნეკრესის ეკლესიის ფრესკაზე, ქტიტორი გიორგი პეტრიწონის სავანის ფრესკაზე და სხვა) – უსახელო ბისონის ფორმა აქვს.

სკარამანგის რამდენადმე განსხვავებული, საინტერესო სახეა წარმოდგენილი პეტრიწონის ქართველთა სავანის მთავარი ეკლესიის ფრესკაზე. აქ ქტიტორ გიორგის აცვია სკარამანგი გრძელი დეკორატიული სახელოებით, რომელსაც სახელოზე ხელის გამოსაყოფი ჭრილი განსხვავებულად აქვს განლაგებული. სახელოს ზედა ნაპირთან ახლოს აქვს განივი ჭრილი. სკარამანგი ძვირფასი ქსოვილისაა და ძალზე ნატიფი დეკორითაა გაფორმებული (დანართი16). (აღნიშნული ეკლესია მართალია საქართველოს ფარგლებს გარეთ, ბულგარეთში მდებარეობს, მაგრამ ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ის ქართველი დიდგვაროვნის – ბიზანტიის იმპერიის მხედართმთავრის სევასტოსის ტაოელი გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ არის დაარსებული და აშენებული. იქ მოღვაწეობდნენ ქართველი სასულიერო პირები და საზოგადო მოღვაწეები. სავანე აშენებული და მოხატულია ქართველი ხუროთმოძღვრების მიერ).

ასეთი სახის დეკორატიული დაგრძელებული სახელოები, როგორც ჩანს სიმბოლურ ხასიათსაც ატარებდა და სამოსის მეპატრონის დიდ შესაძლებლობებზე მიუთითებდა (გავიხსენოთ დიდგვაროვნები – მხარგრძელები, ეს ზედწოდება მათ ყოვლისშემძლეობას აღნიშნავდა, ანდა რუსი მთავარი იგორ დოლგორუკი). სწორედ ასეთი სამოსი აქვს აღწერილი ვახუშტი ბატონიშვილს – „ერთმეფობის დროს სცმიათ ტყავი დიდი სახელ-ვიწრო“ [1]. სამოსი დაგრძელებული დეკორატიული სახელოებით (შეხსნილის სხვადასხვა განლაგებით) შუა საუკუნეების ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში აღინიშნება, რაც ნათლად ჩანს არქიტექტურული თუ სახვითი ხელოვნების ძეგლებიდან. მკვლევართა აზრით გრძელი დეკორატიულ სახელოიანი ტანსაცმელი წარმოშობით აღმოსავლურია, ევროპაში მხოლოდ XIV საუკუნიდან შეინიშნება. ევროპული სამოსი დაგრძელებული სახელოებით ჩასაცმელია და არა წამოსასხამი, საქართველოში კი უკვე VI საუკუ-

ნიდან არსებობს, ამასთან ის სხვადასხვაგვარი მოხმარების წესი-თაც გამოირჩევა (წამოსასხამი, შემოსაცმელი და უსახელო სამო-სი). სწორედ ასეთი სკარამანგი, დეკორატიული, ნაწილობრივ გაუკერავი სახელოებით, უნდა ჩაითვალოს საქართველოს მთის რაჭაში არსებული და XX საუკუნის 20-30-იან წლებში ხმარებაში მყოფი რაჭული „ქაფთარას“ წინამორბედად (ნახ 2.22, გ).

როგორც წესი, ყველა ზემოთ დასახელებულ სკარამანგს ქვე-და ბოლო და სახელოს ბოლო გაფორმებული აქვს დეკორაციუ-ლი არშიით. ზოგ მათგანს გაფორმებული აქვს წინა და ყელის ნა-პირებიც, ზოგიერთი კი ბეწვითაა მორთული. ჩაცმული სკარა-მანგის შემთხვევაში გამოყენებულია სარტყელიც.

მოსასხემის საინტერესო სახეობაა ბეწვის ქურქი, რომლითაც გამოსახულია ერისთათ-ერისთავი ვამეხ დადიანი ხობის მონას-ტრის სამხრეთ ფრესკაზე (XIV ს).

მოსასხამს წარმოადგენს თინათინის სამოსი უკვდავი „ვე-ფხისტყაოსანიდან“. „გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსა-პირონი“ – ამბობს პოეტი. აღნიშნულ ციტატაში საუბარია ყარყუ-მის ბეწვის სამოსზე. ყარყუმი ანუ ყაყუმი თეთრბეწვიანი, პატარა, თრითინას მსგავსი ცხოველია, ძალზე ძვირფასი ბეწვი აქვს. ამ ცხოველის შეპყრობის განსაკუთრებული წესიც კი არსებულა: სოროს ირგვლივ მიწას აუტალახებდნენ, აიძულებდნენ გარეთ გამოვიდეს. ყარყუმი იმდენად ფაქიზია, რომ ბეწვის დასვრას სიკვდილს ამჯობინებს და ადგილიდან არ იძვრის. შეპყრობის შემდეგ მისი ბეწვი სრულიად ფაქიზია და დაუზიანებელი. ამი-ტომ სიწმინდისა და სისპეტაკის სიმბოლოდაა მიჩნეული.

აქვე საჭიროა ტერმინის – „უსაპირონი“ დაზუსტება. ზოგი მკვლევარის აზრით ის უსარჩულოს ნიშნავს. ხოლო რუსთველო-ლოგ მ. ქურდიანის აზრით ეს შეხედულება მცდარია – იმ პერი-ოდში სარჩულის არარსებობის გამო. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ტერმინი დაკავშირებულია ნაპირთან და იგულისხმება ნაპირებ-

დაუმუშავებელი – საქობის გარეშე დამზადებული ბეწვის სამოსი. აღნიშნული მოსაზრება არასწორია, სხვადასხვა მიზეზების გამო: ჯერ ერთი, დადასტურებულია სარჩულის არსებობის ფაქტები, რაზედაც იკონოგრაფიული მასალები მეტყველებს (იმ დროს არსებობდა სამოსი ბეწვის ან ქსოვილის სარჩულით), მეორეც სავარაუდოა, რომ მეფის ასული, თავად მეფე უსარჩულო და ნახევრად დამუშავებულ სამოსს არ ჩაიცვამდა. აქედან გამომდინარე, უსაპიროდ უნდა ჩაითვალოს ისეთი სამოსი, რომელსაც განაჭერ ნაპირებთან არ აქვს შემოვლებული გასაფორმებელი, ოქრომკედით ნაქარგი ატლასის ან ფარჩის არშია, ან კონტრასტული ფერის ბეწვის ქობა, როგორც ეს გამოსახულია ზემოაღნიშნული ლაშა–გიორგის ყაბარჩაზე, ბერთუბნის ეკლესიიდან.

ასევე, ეჭვს ბადებს სიტყვა „გაძრცვილსა“. რუსთველოლოგები მას სხვადასხვაგვარად ხსნიან, ზოგის აზრით შიშველს, გახდილს ნიშნავს, ზოგის აზრით კი უსამკაულოს. პირველი მოსაზრება არასწორია, რადგანაც მეფე-ქალის სიშიშვლე რაინდის წინაშე მიუღებელია, არამარტო ეთიკური და მორალური თვალსაზრისით, არამედ კიდევ იმიტომ, რომ იმდროინდელ საზოგადოებაში თავშიშველა და ფეხშიშველა სიარული შერცხვენასა და დამდაბლებას ნიშნავდა. აქედან გამომდინარე, შიშველ ტანზე მოცმული ბეწვის სამოსით თინათინი ავთანდილის წინაშე არ წარსდგებოდა. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს უსამკაულო – როგორც მიაჩნია ზოგიერთ მკვლევარს, ან სამეფო სამოსის – ბისონის გარეშე, ე.ი. პერანგზე მოსხმული ყარყუმის მოსასხამით. პერანგი კი ვახუშტის მიხედვით სცმიათ „მჭირვალი, ხორცთა მჩენელი“. სავარაუდოა, რომ თინათინს მოვის გამჭირვალე პერანგზე მოცმული აქვს ყარყუმის მოსასხამი.

ასეთი დასკვნა თინათინის ხასიათზე დაკვირვების შედეგადაც შეიძლება გაკეთდეს. ის კეკლუცი ქალია, ქალური ინტუიციით გრძნობს ავთანდილის გამიჯნურების ამბავს, თვითონაც

გულგრილი არ არის და ასეთი მორთულობით (ასე ვთქვათ, რა-ინდის დასაინტრიგებლად შემოსილი) დახვდება მიჯნურს. ეს სიკეკლუცე მას გათვლილი აქვს ავთანდილისათვის სტიმულის მისაცემად, გულის მოსაგებად, ასევე ჯილდოდ რთულ დავალე-ბაზე გაგზავნისათვის.

კლასიფიკაციის მიხედვით შემდგომი ქვეკლასია **ზედა ტან-საცმელი.**

წერილობით წყაროებში გვხვდება ზედა სამოსის აღმნიშვნე-ლი სხვადასხვა ტერმინი, ესენია: „ტყავ-კაბა“, „ჯუბა“, „ჯუბაჩა“, „ყაბაჩა“, „კურტაკი“ და სხვა.

ტყავ-კაბებს ფართო გამოყენება ჰქონდათ შუა საუკუნეების საქართველოში. საზოგადოდ, ტყავი ადამიანის უპირველესი სა-მოსია. მან უხსოვარი დროიდან დაიწყო ტყავის დამუშავება და საუკუნეების განმავლობაში ხვეწდა, რის შედეგადაც შუა საუკუ-ნეებში უმაღლესი ხარისხის ტყავის, ნატისა და ბეწვეულის მასა-ლა მიიღო.

ძველ დროში ტყავის გამოყენების აუცილებლობას მასალათა სიმცირესთან ერთად ადამიანის რწმენა და წარმოდგენები უწყობდა ხელს. კერძოდ, ტყავს მაგიური ძალა მიეწერებოდა. ლომისა და ვეფხვის ტყავ-კაბა მრავალ ლეგენდასა და მითშია მოხსენიებული და უძლეველობის სიმბოლოდაა მიჩნეული, ალბათ იმიტომ, რომ ის ისარგაუტარი ჯავშანი არის და ფოლა-დის იარაღიც (ხმალი, ხანჯალი) ვერ ჭრის იოლად. სავარაუდოა, რომ ასეთი მაგიური ძალის რწმენასთან არის დაკავშირებული მაღალმთიანი სვანეთის სოფლებში შემორჩენილი ჩვეულება – სანადიროდ წასული სვანები იქ დღესაც მოიხმარენ დათვისა და მგლის ტყავების მოსაცმელებს, რომელთაც ტყაპუჭს უწოდებენ.

ტყავის სამოსი გავრცელებული იყო შუა საკუნეების საქარ-თველოში და გამოიყენებოდა ყველა კუთხეში. საზოგადოდ ად-რეული შუა სუკუნეების ეპოქაში (V – VI სს) ტყავის დამუშავების

საქმე მაღალ დონეზე მდგარა. ძველთაგან არსებობდა სახელოსნოები –საწანგროები, სადაც მეხამლე და მეჯადაგე, ე.ი. მეჯღანე და ტყავის დამმუშავებლები იყვნენ დასაქმებული. საქართველოში ტყავისა და ბეწვის დამუშავების ფაქტს ქართული წერილობითი ძეგლების გარდა უცხოელი მოგზაურების ცნობებიც გვიდასტურებს. ასე მაგალითად: არქანჯელო ლამბერტის (XVII ს.) ცნობით საქართველოდან თურქ ვაჭრებს გააქვთ ხარის ტყავები, კვერნისა და წავის ბეწვეული. განსაკუთრებით დიდად მომგებიანი ტყავის რეწვა ყოფილა [3].

ქართულ ისტორიულ და ლიტერატურულ წერილობით წყაროებში მრავლად გვხვდება ტყავის სამოსის აღმნიშვნელი ტერმინები, ასეთებია: „საწვიმარი სტეოედი'' [10] – აქლემის ტყავის საწვიმარ მოსასხამი (სტევი, ლაბადა); „ხალენი“ [27] – თხის ან ცხვრის ტყავის მოსასხამი; „გარე-თმა ვეფხის ტყავისა“ – ვეფხის ტყავ-კაბა; „ყაბარჩა ტყავიანი“[31]; „ყვინდიზის ქუდი“ – ყვინდიზი იგივე ყარყუმია; „სამოსელი ტყავისა“; საწუმისი – ცხვრის ტყავი; „ხაზდი“[10] – სიასამურის ბეწვი; „ფოცხვერის უპე“; „სამოსლად თმისაგან აქლემისა“; სარტყელი ტყავისანი“ [36] და ა.შ.

აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ტყავისა და ბეწვის სამოსი მზადდებოდა როგორც შინაური – ცხვრის, თხის, აქლემის, ხბოს, ისე გარეული – ვეფხვის, ლომის, მგლის, დათვის, ფოცხვერის, ყარყუმის სიასამურის და სხვათა ბეწვისაგან. განსაკუთრებით ძვირფასი ბეწვისაგან (ყარყუმი, სიასამური) დამზადებული სამოსის ტარების უფლება მხოლოდ დიდგვაროვნებს ჰქონდათ.

ტყავ-კაბები სხვადასხვა სახისა იყო, კერძოდ: ბეწვიანი სახით გარეთ, რომელსაც გარე-თმა ეწოდებოდა და ბეწვიანი სახით შიგნით. არსებობდა გამოწყობილი და თავისუფალი სილუეტის ტყავ-კაბები.

ზოგ შემთხვევაში, როცა ტყავ-კაბა მოზრდილი ცხოველის

ტყავისაგან მზადდებოდა, ხელების გამოსაყოფად ცხოველის ტყავის წინა თათებთან კეთდებოდა ხვრელი (ნახ.2.13) და ტანზე ჩაცმისას ცხოველის წინა კიდურების ტყავი ყურთმაჯიანი სახელოების მსგავსად ეკიდა მხრებზე – ე.ი. დეკორატიულ სახელოების შთაბეჭდილება იქმნებოდა.



ნახ. 2.13. ტყავ-კაბა

სავარაუდოა, რომ ასეთი ტყავ-კაბების სახელოებისაგან არის აღებული მოსასხამი სკარამანგის დეკორატიული – ნახევრად გაუკერავი სახელოები (ნახ. 2.12) და XII საუკუნიდან გავრცელებული ენიანი კაბები ბოლომდე შეხსნილი სახელოებით (ნახ. 2.14, დ). ამასთანავე, ტყავ-კაბა გენეზიით უნდა ჩავთვალოთ ბოლო დრომდე არსებული სამოსების – წოვა-თუშური ტყავის ქურქის, ე.წ. „კოკასა“ (ნახ. 2.14, ბ) და საქართველოს ბარში გავრცელებული ზედა სამოსის, „ქათიბის“ (ნახ. 2.14, დ) წინამორბედად. აღნიშნულ კოკასა და ქათიბს აქვთ საერთო ელემენტი –გაუკერავი, (იღლიიდან შეხსნილი) ზომაზე გრძელი სახელოები.



ნახ. 2.14. დეკორატიულსახელოებიანი ნაწარმის ევოლუცია ა – ტყავი, ბ – სკარამანგი, გ – რაჭული ქაფთარა, დ – ენიანი კაბა, ე – ყურთმაჯიანი კაბა, ვ – ქალის ყაბაჩა, ზ – ქართლური ქათიბი, თ – ბეწვსარჩულიანი სკარამანგი ი – წოვათუშური კოკა

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ შუა საუკუნეების კოსტუმის ერთ-ერთი ფორმის – დაგრძელებულსახელოებიანი სამოსის წინამორბედად შესაძლოა ჩაითვალოს ადამიანის პირველი ტანსაცმლის – ნადირის ტყავის ელემენტი, კერძოდ ცხოველის კიდურები, რომლებიც ზურგის მხარეს, მხრებიდანაა დაშვებული. აღნიშნული პროცესი დაგრძელებულსახელოიანი სამოსის ევოლუციისა წარმოდგენილია სქ. 2.2.

სქემა 2.2.

დაგრძელებულ-სახელოებიანი სამოსის განვითარების პროცესი



ტყავ-კაბითაა შემოსილი რუსთაველის პოემის გმირი – ტარიელი. „მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა, ვეფხის ტყავისა ქუდივე ჰქონდა სარქმელი თავისა“ [22]. როგორც ვიცით, თანამედროვე მხატვრები „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირების დროს ტარიელს გამოსახავენ ტანზე შემოხვეული ზოლებიანი ვეფხის ტყავით, რაც არასწორია. ჯერერთი, იმ დროს ვეფხად იწო-

დებოდა არა ზოლებიანი (როგორც დღეს მიგვაჩნია), არამედ ხალებიანი – ჯიქი და მეორეც, რაინდი ამბობს: „ამად მიყვარს ტყავი მისი კაბად ჩემად მომინახავს“-ო. კაბა კი ჩასაცმელი სამოსია და არა შემოსასხამი. აქედან ვასკვნით, რომ რაინდს ვეფხის ტყავი ტანზე შემოხვეული კი არ აქვს, არამედ ტყავ-კაბა აცვია. ამ აზრს აძლიერებს ისიც, რომ ლომის ტყავ-კაბა აცვია რუსთამსაც – სპარსელი პოეტის ფირდოუსის პოემის „შაჰ-ნამეს“ მთავარ მოქმედ პირს.

ზედა სამოსის ერთ-ერთი სახეობაა „ჯუბა“. ტერმინი მრავლად გვხვდება წერილობით წყაროებში: „შვენოდა ჯუბა და მოხვევნა ძოწეულისა რიდისა“, „მას მზესა ტანსა ემოსა ნარინჯისფერი ჯუბანი“; „ქვაბისა კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა შავითა“ ; „თურანს მივიდა დამალა აბჯარი საომარია: მან ტანსა ჯუბა ჩაიცვა, თქვა: მე ვარ დიდ ვაჭარია“ [22] და სხვა მრავალი.

ჯუბა არაბული სიტყვაა (djobbah). თვით ეს ტერმინი ძალზე ფართოდ არის გავრცელებული – არაბეთიდან აღმოსავლეთისაკენ ინდოეთსა და ავღანეთში, დასავლეთით კი მთელს ევროპაში (საბერძნეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, რუსეთი), შესაძლოა გურია - აჭარაში გამოყენებული სამოსის „ზუბუნის“ სახელწოდებაც ამ სიტყვის სახესხვაობას წარმოადგენს [3].

მართალია, ეს ტერმინი ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ ყველა სახელმწიფოში ზედა სამოსის გამომხატველი როდი იყო. ჯუბა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სამოსს აღნიშნავდა, ამასთან ყველა ქვეყანაში თავისებური ფასონისა ადგილობრივ გავრცელებული ფერის ჯუბები იხმარებოდა. მაგალითად: მუქი ლურჯი და წითელი – ეგვიპტეში; თალხი ან წითელი – სპარსეთში; შავი და ნარინჯისფერი – საქართველოში.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით „ჯუბა არის მსხვილი სამოსელი“ (გაურკვეველია და საინტერესო მსხვილში სქელი ქსოვილი იგულისხმება თუ განიერი სილუეტი?!).

ჯუბას საქართველოში არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რასაც ადასტურებს წერილობითი წყაროები და არქიტექტურული ძეგლები. ამასვე გვიმოწმებს ვახტანგ VI-ის ლექსიკონის განმარტება – „ჯუბა ძველი საცმელი არის“.

წერილობითი წყაროების მიხედვით ჯუბა ორივე სქესის სამოსია – „ ქვაბისა კარსა მოადგა ქალი ჯუბითა შავითა“ და „მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯისფერი ჯუბანი“ [22].

ჯუბით მოსილნი არიან ისტორიული პირები სხვადასხვა ძეგლებზე: ატენის სიონის (VII ს) ერთ–ერთ ბარელიეფებზე გამოსახული არიან ქტიტორები გრძელი, წინ ჩახსნილი ჯუბებით (დანათი 12, 13). ჯუბის კალთები და ქვედა ნაპირები გაფორმებულია ამოქარგული არშიით. ასევე ჯუბით არის მოსილი ისტორიული პოროვნება აშოტ კურაპალატი ოპიზის ტაძრის (IX ს) ბარელიეფზე (დანათი 17). აღნიშნული ჯუბაც წინ ჩახსნილია, იკვრება სარტყელით, რომელიც წერილობით წყაროებში „ზოსტერის“ სახელწოდებით მოიხსენიება [30]. სამოსს აქვს გრძელი, მაჯასთან ვიწრო სახელო და მართკუთხა სამკუთხედის ფორმის საყელო, რომელიც ოდნავ წამოწეულია (ნახ. 2.15, ა). მსგავსი სამოსი სხვა ბარელიეფზეც გვხვდება. ზოგიერთ შემთხვევაში ჯუბა წინ მოკლეა, უკან გრძელი.

უფრო გვიანდელი პერიოდის ჯუბა შეიძლება ვიხილოთ ბუგეულის ღვთისმშობლის (XVI ს.) ეკლესიის ფრესკაზე. ამ ფრესკაზე რაჭის დიდებული ზაზა ლასხიშვილი ჯუბით არის მოსილი. მისი ჯუბა წინ გახსნილია, სარტყელით იკვრება, გრძელია (მაგრამ არაკოჭებამდე). კალთების ნაპირები, ბოლო, კისრის ნაპირები და სახელოს ბოლო გაფორმებულია ვიწრო ნაქარგი არშიით.

ჯუბები შეიძლება ასევე ვიხილოთ XVI საუკუნის უცნობი მხატვრის მიერ შესრულებულ „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურებზე (როსტევან მეფე) (ნახ. 2.15, ბ) და XVII საუკუნეში კალიგრაფი მხატვრის მამუკა თავაქარაშვილის მიერ შესრულებულ „ვეფხის-

ტყაოსნის“ მინიატურებზე (მეფე როსტევანი და ავთანდილი) (ნახ. 2.15, გ).

ჯუბის ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ არა აქვს მხრის ნაკერი, კალთა და ზურგი მთლიანადაა აჭრილი.

ა ბ გ

ნახ. 2.15. ჯუბა: ა –გადაფენილი საყელოთი (IX ს.);
ბ – შალისებური საყელოთი (XVI ს.);
გ – პერანგისებური (XVII ს.)

წერილობით ძეგლებში ზედა სამოსად ჯუბის გარდა მოხსენიებულია „ჯუბაჩა“, ასე, მაგალითად: „როსტენისთვის წაატანა საძღვნოდ ტურფა ჯუბაჩები“, ან კიდევ, „კაცი მოვიდა, აევსო ჯუბაჩითა და რიდითა“ [22].

სულხან-საბას განმარტებით ჯუბაჩა არის „ჯუბა ვიდრე მუცლის დაფარვამდე და ვიდრე იდაყვამდე“ (ე. ი. მოკლესახელოიანი მოკლე ჯუბა). თეიმურაზ ბატონიშვილი მას „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებაში „ქურთუკს“ უწოდებს.

ჯუბაჩის გარეგნული სახის გასარკვევად შეიძლება დავეყრდნოთ ატენის სიონის ერთ-ერთ ბარელიეფს, რომელზეც ტაძრის აღმაშენებელი ჯუბაჩითაა გამოსახული (ნახ.2.16) და ისევ და ისევ „ვეფხისტყაოსნის“ ზემოდასახელებულ ხელნაწერებს.

წერილობით წყაროებში მოხსენიებულია ზედა სამოსის აღმნიშვნელი კიდევ ერთი ტერმინი – „ყაბაჩა“ (ყაბარჩა): „ნესტანდარეჯანს ყაბაჩა უძღვნა შემკული თვალითა“; „სხვა გიამბო საკ-

ვირველი რიდისა და ყაბაჩისა“; „ ქალმან ქალსა გაუგზავნა ყაბაჩა და ერთი რიდე“ [22], ან კიდევ „ მონადირეთუხუცესი ყვითლით ყაბარჩით შემოსს’’ [31].

სულხან-საბა ორბელიანი ყაბაჩას ლაბადად მიიჩნევს [15]. მკვლევართა აზრით, სიტყვა „ყაბაჩა“ უეჭველად „ყაბა“-დან არის წარმოშობილი, ისევე, როგორც ჯუბაჩა - ჯუბადან.

ა ბ გ

ნახ. 2.16. ჯუბაჩა: ა –საყელოს გარეშე (VII ს.);
ბ – შალისებური საყელოთი (XVI ს.);
გ – პერანგისებური (XVII ს.)

როგორც საბას განმარტება გვიჩვენებს, ყაბაჩა გარედან ჩასაცმელი მოკლე სამოსია, ის შეიძლება ქართლური ქათიბის და თანამედროვე ჟაკეტის წინამორბედად ჩაითვალოს. ყაბაჩას მოხმარების თვალსაზრისით უახლოვდება აღმოსავლური ხალათიც.

ყაბაჩის ნიმუშად გამოვიყენეთ ბარელიეფი ატენის სიონიდან. მასზე აღბეჭდილია ნადირობის სცენა, სადაც მონადირე ყაბაჩითაა შემოსილი.

ყაბაჩითაა შემოსილი ლაშა–გიორგი ბერთუბნის მონასტრის ფრესკაზე, (რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი) და დიდებულები საფარის ფრესკაზე (ნახ.2.17).

ზედა სამოსი იგულისხმება ტერმინში –„კურტაკი’’ (ქურთუკი), რომელსაც თეიმურაზ ბატონიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებაში ჯუბაჩად მიიჩნევს [3].

ა ბ გ

ნახ. 2.17. ყაბაჩა: ა – საყელოთი და ჩაფრასტებით;
ბ – ერისთავის (XIV ს.); გ – ქალის (XVII ს.)

XI–XII საუკუნიდან ქართულ წერილობით ძეგლებში სამოსის კიდევ ერთი სახეობის აღმნიშვნელ ტერმინებს ვხვდებით. ესენია: კაბა, აბა, კაბა–ლაფანჩი. „გამოვიდა იგი კაბითა, ცხენსაჯდა...“ [26]. „ რამინ... შემოსა კაბა–ლაფანჩებითა“ [32]. „ომგადახდილსა მშვენოდეს მე ენიანი კაბანი“ [22]. დასახელებული კაბები **შიგა სამოსს** (ჯუბის შიგნით ჩასაცმელს) განეკუთვნება.

კაბა არაბული სიტყვაა და ორივე სქესის ზედა სამოსს აღნიშნავს. არაბულშივე იგი სხვადასხვაგვარად გამოითქმის: „კაბა“, „ყაბა“, „აბა“. ქართულ წყაროებში ამ ტერმინის სამივე ფორმაა გამოყენებული. ტერმინი „კაბა“ არაბეთიდან ფართოდ გავრცელდა აზიისა და ევროპის მრავალ სახელმწიფოში. (რუსეთში ტერმინი „კაბა“ - „Платье“ XVI საუკუნიდან შემოდის ხმარებაში).

სხვადასხვა ქვეყნებში ადგილობრივი პირობების მიხედვით კაბის თავისებური ფასონები ჩამოყალიბდა. არსებობდა კაბის არაბული, სპარსული, ეგვიპტური, სომხური, სირიული, თათრული და ქართული მოდელები. ყველა სახელმწიფოში ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელი ფერის კაბა დომინირებდა, ასე მაგალითად: ლურჯი - არაბეთსა და სირიაში; ლურჯი, შავი, თეთრი, წითელი - ეგვიპტეში; წითელი, ყვითელი, მწვანე - სპარსეთში; თეთრი, შავი, ძოწეული - საქართველოში და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ფასონების კაბებს სხვა ქვეყნებშიც ხმარობდნენ. ამის დამადასტურებელია მოგზაურისა და ისტორიკოსის ჟან შარდენის ცნობა: „სპარსელი ცხენოსნები ზოგჯერ ქართული ყაიდის კაბებსაც ატარებდნენ, რომელიც სხვა კაბებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ გულისპირი ღია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამოსი წელზე მეტად გაწყობილია, ზედ კიდევ ორი თითის დადება სარტყელს ირტყამენ, რის გამოც მუცელზე უკეთდებათ ფართო და მაგარი ჯიბე, საკმაოდ კარგად დაცული“ [3].

ქართული კაბის ნაირსახეობები მრავლადაა გამოსახული არქიტექტურული ძეგლების ფრესკებსა და ბარელიეფებზე, ძველ მონეტებსა თუ მინიატურებზე. XI-XIII საუკუნეების კაბის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ატენის სიონის ფრესკაზე მეფე გიორგი II-ის და ბეთანიის ეკლესიის (XIII ს) ფრესკაზე ლაშა-გიორგის კაბები, მრავალძალის ეკლესიის (XI ს) აღმოსავლეთის კედლის ბარელიეფზე ქტიტორთა სამოსი. ასევე „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურები, შესრულებული უცნობი გადამწერის მიერ XIV საუკუნეში და მამუკა თავაქარაშვილის მიერ XVI საუკუნეში, პეტრიწის მონასტრის (XVI ს) ფრესკა ქტიტორთა გამოსახულებით და სხვა. აღნიშნული კაბები, უმნიშვნელო განსხვავების გარდა, ძირითადად ერთმანეთის მსგავსია (ნახ. 2. 18, ა.ბ). აქედან გამომდინარე, კაბას შეიძლება მიეცეს შემდეგი დახასიათება: მამაკაცის კაბა გამოწყობილი სილუეტისაა, წელში ძალზე დავიწროებულია, ქვევით ფართოვდება, მუხლს ფარავს. კისრიდან, ან მკერდის ხაზიდან წელამდე შეკრულია ღილებითა და ღილკილოებით. წელის ხაზზე გადაჭრილია, ზოგიერთ შემთხვევაში აქვს მართკუთხა სამკუთხედისებური პატარა საყელო, გვერდის ნაკერი მუხლიდან თეძომდე შეხსნილია, რაც ცხენზე მოხერხებულად ჯდომისთვისაა გათვალისწინებული. შესაძლოა სარტყელი გაუკეთდეს, დასაშვებია მის გარეშეც. კაბა ქვედა ნაპირზე,

გულისპირსა და სახელოს ბოლოზე გაწყობილია ფარჩის ან ოქრომკედით ნაქარგი და თვლებით შემკული ატლასის არშიით.

ქართული კაბის ფასონის ერთ-ერთ სხვადასხვაობას წარმოადგენს მრავალ ფრესკაზე გამოსახული კაბა ასიმეტრიული კალთით (ნახ. 2.18, დ). ასეთი კაბით მრავალი ისტორიული პირი თუ ლიტერატურული გმირია გამოსახული, ესენია: დიდებული ზემო კრიხის (XI ს) საყრდის ფრესკაზე; შოთა რუსთაველი ქვაბისხევის მარიამწმინდის (XIII ს) მონასტრის ფრესკაზე; ლაშა გიორგი ბერთუბნის ტაძრის (XIII ს) ფრესკაზე; სამცხის სპასალარი და ბექა მანდატურთუხუცესი საფარის მონასტრის (XIVს) ფრესკაზე; შოთა რუსთაველი და მისი პერსონაჟები XVII საუკუნეში მამუკა თავაქარაშვილის მიერ შესრულებული მინიატურებიდან [33], ისევ შოთა რუსთაველი XII-XIII საუკუნეში უცნობი მხატვრის მიერ შექმნილ პორტრეტზე (რომელიც XVII საუკუნეშია გადახატული ზაზა ციციშვილის მიერ) [34] და სხვა.

ა ბ გ დ ე

ნახ 2.18. მამაკაცის კაბა: ა – დახურული გულისპირით; ბ – ღია გულისპირთ; გ – სამკუთხა საყელოთი; დ – ასიმეტრული კალთით; ე – ენიანი კაბა

აღნიშნული კაბები გამოწყობილის სილუეტისაა, წელის ხაზზე გადაჭრილია. წელს ქვემოთ შესამჩნევად ფართოვდება, მუხლს ფარავს. კალთებზე, წელს ოდნავ ქვევით, გვერდის ნაკერის მახლობლათ შეინიშნება ნაკეცები, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კალთის ქვედა გვერდითი ნაწილი ცალკე დეტალია, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ კაბა თეძოს ხაზზე გადაჭრილია და ჩაკერებული ნაწილი ნაკეცებითაა დამუშავებული. აღნიშნული ნა-

კეცები კაბის ბოლოს დამატებით აფართოებს და მოძრაობა აღარ იზღუდება. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ პორტრეტზე კაბის შესაკრავი მარცხენა მხარეს არის დამუშავებული, ზოგჯერ კი მარჯვენა მხარეს. ამის ახსნა საქართველოსა და აღმოსავლეთის კულტურათა ურთიერთზეგავლენაში უნდა ვეძებოთ.

ისტორიულად დადასტურებული ფაქტია ის, რომ X – XI საუკუნეებში საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და უფრო დაახლოებული იყო ნათესაური კავშირებითაც ბიზანტიის საიმპერატორო კართან, ვიდრე სპარსეთის სამეფო კართან. ამიტომ XI საუკუნეში გავრცელებულ კაბების მარცხნივ შესაკრავს (დიდებული ზემო კრიხის ეკლესიის ფრესკაზე და ლაშა–-გიორგი ბერთუბნიდან) სპარსული კაბის ზეგავლენით ვერ ავხსნით, როგორც ჩანს, ეს კალთის შეკვრის ქართული მანერაა, ხოლო მოგვიანებით XIV საუკუნიდან კაბის მარჯვენა იღლიის ქვეშ შეკვრა სპარსული წესის ზეგავლენას უნდა მივაწეროთ. ამის დასადასტურებლად გამოდგება ძველი აღმოსავლური მინიატურებიც, ასე მაგალითად, XIV საუკუნის სულთან მუხამედის სპარსული მინიატურა – „ნადირობის სცენა“ და XVII საუკუნის მონღოლური მინიატურა – „მოჭიდავენი შაჰის წინაშე“. პირველ მინიატურაზე გამოსახულია პერსონაჟები, რომელთაც აცვიათ სარტყელში კალთებჩატნეული, ღილებით შეკრული ქართული კაბები (როგორც ამის შესახებ ჟან შარდენი აღნიშნავს [3]), ხოლო მინიატურაზე – „მოჭიდავენი შაჰის წინაშე“, მამაკაცები რომელთაც აცვიათ მარცხენა იღლიის ქვეშ შეკრული კაბები. თუ ყურადღებით დავაკვირდებით დასახელებულ მინიატურას, შევნიშნავთ, რომ სწორედ ქართველებისათვის დამახასიათებელი გარეგნობისა და ტიპაჟის მამაკაცებს აცვიათ მარცხენა მხარეს შეკრული კაბები და ეს შემთხვევითი სრულიად არ არის.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთის მბრძანებლების სამეფო კარზე მრავლად იყვნენ, როგორც ქართველი მძევლები და დიდგვა-

როვნები, რომელთაც მაღალი თანამდებობები ეჭირათ, ისე მეომრები (როგორც შეუპოვარი, მებრძოლი ძალა და საიმედო დასაყრდენი). იქ მოღვაწეობდნენ ხუროთმოძღვარი ოსტატები, რომლებიც აღმოსავლეთის მბრძანებლებს შუა აზიის და სპარსეთის დიდი ქალაქების სამარყანდისა და ისპაჰანის მშენებლობაზე საქართველოდან და აზერბაიჯანიდან მიჰყავდათ. XVI საუკუნეში სპარსეთში შაჰ–თამაზის კარზე მოღვაწეობდა სპარსული მინიატურული სკოლის ძალზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ქართველი მხატვარი–მინიატურისტი სიაუშ–ბეგი. ბოლო სპარსული მინიატურული ფერწერის კვალობაზე და მასთან კონტაქტით წარმოიშვა და განვითარდა მონგოლური მინიატურის სკოლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს ქართველებისა და ქართული კაბების გამოჩენა სპარსულ და მონღოლურ მინიატურებზე.

რაც შეეხება XVI საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურებს, აქ უდავოდ დიდია აღმოსავლური მინიატურული სკოლის გავლენა. პერსონაჟების კაბები და თავსაბურავები სპარსულია, ტიპაჟი სპარსული (უფრო შუა აზიის). უნდა ვივარაუდოთ, რომ ოსტატი სპარსია, ან გავლილი აქვს მინიატურის სპარსული სკოლა. (ამ შემთხვევაში გამორიცხული არაა ისიც, რომ პოემაში აღწერილ არაბთა და ინდოთა ამბების მხატვრულად ასახვისას, ოსტატმა თავი შეიკავა ქართული პერსონაჟების ხატვისაგან).

კაბის კიდევ ერთ საინტერესო სახეობას წარმოადგენს ენიანი კაბა – „ომგადახდილსა მშვენოდეს მე ენიანი კაბანი“ – ამბობს ტარიელი [22].

ენიანი კაბა იგივე ყურთმანჯიანი კაბაა. მას აქვს დეკორატიული, იღლიიდან ბოლომდე შეხსნილი – გაუკერავი სახელოები (ნახ. 2.18, ე), რომელიც ბოლოვდება ძროხის ყურის ფორმის ელემენტით – ენით. სახელო შიგნიდან დამუშავებულია საზედაპირე

მასალისაგან კონტრასტულად განსხვავებული ფერის ატლასის სარჩულით (ძოწისფერი – მწვანე, იისფერი – ყვითელი და ა. შ.). ასეთი სარჩულით სახელო იღლიის ხაზამდეა დამუშავებული, სახელო ძალზე გრძელია, ხანდახან მუხლამდეც აღწევს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეხსნილი, დაგრძელებული სახელო ძალაუფლების გამომხატველი ნიშანია. შუა საუკუნეებში დაგრძელებული სახელოები ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული, მაგრამ ყურის ფორმის ბოლოთი – არსად. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ელემენტი ეროვნულია. ასეთი კაბა უნდა ჩავთვალოთ XVII – XVIII საუკუნიდან გავრცელებული ქურთული ყურთმაჯიანი ჩოხის წინამორბედად.

ზემოდასახელებული ენიანი კაბა აცვია XII საუკუნის სპილენძის მონეტაზე გამოსახულ გიორგი მესამეს (ეს სამოსი მკვლევარ გიორგი ჩუბინაშვილის აზრით „ზედმიწევნით მიაგავს თანამედროვე ყურთმაჯიან ყაბასა და ახალუხს“ [3]), სამთავისის ჯვარზე (XI ს) გამოსახულ საერო პირებს, ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის (XI ს) ფრესკაზე – სუფრასთან მსხდომ საერო პირებს და ხობის ეკლესიის (XI ს) ფრესკაზე – ცოტნე დადიანს.

როგორც აღვნიშნეთ, კაბა ორივე სქესის სამოსის აღმნიშვნელი ტერმინია. ამაზე ნათლად მოწმობს ლიტერატურული წერილობითი ძეგლებიც და ჩვენამდე მოღწეული დიდგვაროვან მანდილოსანთა მზითევის წიგნები.

საზოგადოდ, ქალის კაბის შესახებ ფრესკული და იკონოგრაფიული მასალა შედარებით მწირია. ქალები ძირითადად გამოსახულია მეფეთა სამოსელით. საყურადღებოა XII საუკუნის ასტროლოგიური ტრაქტატი – მინიატურით, რომელზეც ქალწულია გამოსახული (დანართი21). ის ფეხმორთხმით ზის, აცვია სწორი სილუეტის კაბა (კაბა-ხალათის მსგავსი), შეკრული რამოდენიმე ღილსა და ღილკილოზე, საკუთხედისებრი საყელოთი (ნახ. 2.19, ა). კაბას აქვს გრძელი სახელო. კაბის ბოლო, კალთის

წინა ნაპირები და სახელოს ბოლო გაფორმებულია არშიით. ორივე ხელზე აქვს დეკორატიული სამკლავე. ქალწულს ახურავს დიადემა და მანდილი.

ა ბ გ დ

ნახ 2.19. ქალის კაბა: ა –სამკუთხა საყელოთი; ბ – ღია გულისპირთ; გ – ჩაფრასტებიანი; დ – წელის ხაზზე გადაჭრილი

განსხვავებული კაბა აცვია ბუგეულის ღვთისმშობლის ეკლესიის (XVI ს) ფრესკაზე გამოსახულ მანდილოსანს – კეკლუცა ლასხიშვილს. აღნიშნული კაბა პერანგის ტიპისაა, გულისპირი ჩაჭრილი აქვს, შიგა სამოსი (პერანგი) მოუჩანს. ღილი და ღილკილო არ აქვს. სავარაუდოა, რომ კალთა წელში გადაჭრილია,რაც დაარულია სარტყელით, სახელოები გრძელი აქვს, გულისპირი და სახელოს ბოლო გაფორმებულია ამოქარგული არშიით (ნახ. 2.19, ბ).

კიდევ ერთი, რამდენადმე განსხვავებული სახის კაბა არის წარმოდგენილი მ. თავაქარაშვილის მიერ XVII საუკუნეში შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურებზე, კაბას სამკუთხედისებური, ღია გულისპირი აქვს, მკერდის ქვემოთ იკვრება რამოდენიმე დეკორატიულ ღილსა და ღილკილოზე (ნახ. 2.19, გ). კაბის შიგნით პერანგი მოჩანს, რომელიც მძივი-საკინძითაა შეკრული, შესაძლოა რომ კაბა წელში გადაჭრილიც იყოს, აქვს სარტყელი.

საზოგადოდ, ქალის კაბებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ისინი ძირითადად წელში გადაჭრილია. მართალია წელის ხაზს სარტყელი ფარავს, მაგრამ სარტყლის ქვემოთ კაბას ნაოჭები და ნაკეცები შეინიშნება, რაც მიანიშნებს, რომ ის გადაჭრილია და მინაოჭებული (ნახ. 2.19, დ).

ქამრის აღმნიშვნელ ტერმინად წერილობით წყაროებში ხშირად გვხდება „ზოსტერი“, „სარტყელი“ – „შეარტყეს წელთა სარტყელი დაუდებელი ფასისა“ [22].

სარტყელი ქალისა და მამაკაცის სამოსის მნიშვნელოვანი ელემენტია. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში შეინიშნება სარტყელის სხვადასხვა ფორმები და მისი მოხმარების განსხვავებული მანერა: თოკისებური; ქამარი ბალთით (აბზინდით); ვერცხლის ქამარი; სამეფო სარტყელი შემკული მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით; სარტყელი ფარჩის; სარტყელი ატლასის ოქრომკედით ნაქარგი; სხვადასხვა სიგანის აბრეშუმის სარტყელები და სხვ.

იმ შემთხვევაში, თუკი სამოსს ღილი ან ღილკილო არ ჰქონდა (ჯუბა, ჯუბაჩა), სარტყელი სამოსის შესაკრავის როლს ასრულებდა და წელში მჭიდროდ შემოეჭირებოდა. ჩვეულებრივ ქსოვილის სარტყელი გრძელი იყო და შეიძლებოდა წელზე ორჯერ ყოფილიყო შემოხვეული. როდესაც სამოსს ღილი და ღილკილო ჰქონდა (კაბა, ყაბა), იმ შემთხვევაში სარტყელი წელს ქვემოთ–თეძოზე ჰქონდათ თავისუფლად შემოჭერილი და ძირს დაშვებული. სავარაუდოა, რომ აქედან მოდის ქართული კაბის სარტყლის თეძოზე შემოჭერის მანერა. მამაკაცის ფიგურას თეძოზე შემოჭერილი სარტყელი პროპორციას უკარგავს. აკად. გ. ჩუბინაშვილი ფიქრობს, რომ თეძოზე შემოჭერის მიზეზი მოდაა, მაგრამ სარტყელის შემოჭერის ასეთ წესს უფრო პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რადგან ამ შემთხვევაში, მუცელზე კარგად დაცული მცირე სათავსი – ჯიბე კეთდება.

შიგა სამოსს განეკუთვნება შარვალი. ადრეული შუა საუკუნეების (V-IX სს) ქართულ წერილობით წყაროებში შარვლის აღმნიშვნელ ტერმინს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ფაქტია, რომ კოსტუმის ეს ელემენტი საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა.

შარვალი აღმოსავლური წარმოშობის სამოსია, ანტიკური საბერძნეთი და ძველი რომი კოსტუმის ამ ელემენტს არ იცნობდა, ისინი ხმარობდნენ პაჭიჭებს („გამაშები“). ევროპაში მხოლოდ მე–12 საუკუნიდან გახდა გრძელი წინდა (რეიტუზი) მამაკაცის კოსტუმის აუცილებელი ელემენტი [11], რომელიც თითოეულ ფეხზე ცალ–ცალკე ჩაიცმებოდა [38].

სავარაუდოა, რომ საქართველოში შარვალი აღმოსავლეთის გავლენით გავრცელდა. ის უკვე გვხვდება ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში. ამის დამადასტურებელია მცხეთის ჯვრის ბარელიეფები. აქ გამოსახულ დიდებულებს გრძელი სამოსის შიგნით აცვიათ შარვალი (შეიდიშის მსგავსი). ერთ–ერთ ქტიტორს შარვალზე კოჭებთან შემოჭერილი ზონარი – „ლეკვერთხები“ მოუჩანს, ფეხზე წანგრები – მესტები აცვია.

მომდევნო პერიოდის წერილობით ძეგლებში გვხვდება შარვლის აღმნიშვნელი ტერმინები –„მუქასარი“ [32], „საბარკული“ [22], ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის ცნობებს, რომ „ცხენსა ზედა მოსიათ საწმართული და მოგვნი“ [1]. ასეთ საწმართულში გაყრილი იყო ლარი (ხონჯარი) – ფოჩებიანი და გოზრებიანი (ნახ. 2.20). გოზრები მარგალიტითა და ოქრომკედით იყო მორთული. დიდგვაროვანთა საწმართულის ტოტის ბოლოები, რომელიც მოჩანდა კაბის ან ბისონის ქვეშ, მოქარგული იყო ოქრომკედით და შემკული იყო მარგალიტით. ასეთ საწმართულშია გამოსახული მე–16 საუკუნის ფრესკაზე მეფე კონსტანტინე გელათის მონასტერში.



ნახ.2.20. შარვალი

თეთრეულის ისტორია საკმაოდ ხანმოკლეა. ანტიკურ საბერძნეთში და ძველ რომში პერანგისმაგვარი სამოსი პირდაპირ ტანზე იცმებოდა და იმავდროულად ზედა ტანსაცმლის როლსაც ასრულებდა. თეთრეული, თანამედროვე გაგებით, ევროპაში შუა საუკუნეებშიც არ იყო ცნობილი, თუმცა სამოსის შიგნით უფრო თხელი შიგა ჩასაცმელის ტარების ტენდენცია XIII საუკუნიდან შეინიშნება [11].

ზედა საცვალის წინამორბედი საფრანგეთში XIII ს–ში ჩნდება, ხოლო ქვედა საცვლისა – XIV საუკუნეში. მათი ტარების შესაძლებლობა მხოლოდ ძალზე მდიდრებს ჰქონდათ. XVI-XVII საუკუნიდან საცვალის წინამორბედი ხალხის მასებშიც გავრცელდა. მხოლოდ XIX საუკუნიდან დაიწყო "გასარეცხი საცვლების ეპოქა''. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს – „ევროპელებს საცვალი ... არ ჰქონდათ, ჩაიცვამდნენ ტანისამოსს და სანამ არ შემოალპებოდათ, არ გაიხდიდნენ" [6].

სხვაგვარი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში. ვახუშტი ბატონიშვილი ასეთ ცნობას გვაწვდის – მამაკაცებს ეცვათ ''პერანგი... უგრძე კაბისა და კისრის სრულიად მჩენი. ნიფხავი – აბრეშუმისა ანუ ბამბისა ანუ ტილოსი, არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწმართული და მოგუნი. ხოლო ქალთაცა პერანგი მჭვირვალი, ხორცის მჩენი, უპაიჭოთ ნიფხავი".

საცვალის აღმნიშვნელი ტერმინი – „საწვლადი" უკვე XI საუკუნეში გვხვდება წერილობით წყაროებში, როგორც სამოსის შემადგენელი ნაწილი, ამიტომ სავარაუდოდ, რომ ის უფრო ადრეც (X საუკუნეთი მაინც) არსებობდა.

ამავე პერიოდში ქვედა საცვალის აღმნიშვნელ ტერმინად

„მუქასარიც“ გვხვდება, ხოლო ზედა საცვლის აღმნიშვნელად – „პერანგი“. ტერმინი პერანგი პირველად მოხსენიებული აქვს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს – „დგა პერანგითა მოსილი“[12]. ტერმინი გვხვდება შოთას „ვეფხისტყაოსანშიც“ – „ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს ეცვა ოდენ მართ პერანგი“, ან კიდევ „მაშინვე იცნა, ავარდა, მოშლილი პერანგოსანი“ [22].

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევის თანახმად [6] პერანგის შესატყვისი ძველი ტერმინი იყო კვართი (იგივე ფესვედი). X-XI საუკუნიდან კვართი წერილობით ძეგლებში აღარ გვხვდება.

საწვლადი და პერანგი ორივე სქესის თეთრეულის აღმნიშვნელი ტერმინია.



ა ბ გ

ნახ.2.21 საცვლები: ა – პერანგი მამაკაცის; ბ – პერანგი ქალის; გ – ქვედა საცვალი

მამაკაცის პერანგი მოკლე (ნახ. 2.21, ა) იყო. კაბაში არ ჩანდა, საყელო არ ჰქონდა, ყელი ღრმად ამოჭრილი ან დახურული და გვერდზე ჩაჭრილი, საკინძით შესაკრავი. ხოლო ქალის პერანგი გრძელი იყო. მისი მოხმარების თავისებურმა წესმა, კერძოდ იმან, რომ გულისპირზე და კაბის ქვევით პერანგი შესაძლოა გამოჩენილიყო, განაპირობა ამ გამოსაჩენი ნაწილის საგანგებოდ გაფორმება ოქრომკედითა და სხვა ნაქარგობით (ნახ. 2.21, ბ). ქალის პერანგი და ქვედა საცვალი იყო ფერადი, დომინირებდა წითელი მოვის პერანგი, იკვრებოდა სადაფის ღილით, მარგალიტის მძივით, ან ვერცხლის ღილით (შესაძლებლობის მიხედვით). ქვედა საც-

ვლის ტოტები გაფორმებული იყო ოქრომკედით ნაქარგი სტილიზებული ფიგურებით (ნახ. 2.21. გ).

თავსაბურავები ქალისა და მამაკაცის კოსტუმის აუცილებელი ელემენტია. ის პრაქტიკული დანიშნულების გარდა შესამკობელ ელემენტსაც წარმოადგენს (განსაკუთრებით ქალისათვის).

ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში (V—IX სს) გავრცელებული თავსაბურავების შესახებ წერილობითი ცნობები ძალიან მცირეა. აღნიშნული პერიოდის თავსაბურავის აღმნიშვნელი ტერმინია „კუბასტი“ – „და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა“, ან კიდევ „და კუბასტნი შუშანიკისნი... წულილ–წულილად დაებრძანეს ძეძუსა მას“ [37]. კუბასტი ქალის თავსაბურავი ლექაჩია.

მამაკაცის თავსაბურავად უძველესი პერიოდიდან ქუდია მიჩნეული, რაც წერილობითი ძეგლებიდანაც ნათლად ჩანს: „შემოსა კაბა-ლაფანჩებითა და ქუდებითა...“[32]; „ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა“ [22]; ან კიდევ „მჭლოდ შეკრულსა ქუდსა დაირქვამს“ [31] და სხვა.

ქუდის ძველთაგანვე გამოყენებას წერილობითი ძეგლების გარდა ნათლად გვიდასტურებს უძველესი არქიტექტურული ძეგლის ატენის სიონის (VIIს) ბარელიეფები ისტორიულ პირთა გამოსახულებით. აქ წარმოდგენილ ქტიტორებს ქუდები ახურავთ (სვანური ქუდების მსგავსი). დეკორატიული გრეხილებითა და ბეწვით შემკულ ქუდშია გამოსახული დიდებული ზემო კრიხის ეკლესიის ფრესკაზე (XI ს). თეთრი ბეწვის ქუდი ახურავს შოთას პალესტინის ჯვრის მონასტრის ფრესკაზე, დიდებულებს საფარის ფრესკაზე (XIV ს) –ე.წ. ქუდი–იალქანი და სხვა.

ორივე სქესის წარმომადგენელთა თავსაბურავების აღმნიშვნელი ტერმინია „რიდე“. ის მრავალ წერილობით ძეგლშია მოხსენიებული: „შემოსა კაბა–ლაფანჩებითა და ქუდებითა და რიდებითა“ [32], „თეთრი შესამოსელი ტანსა ეცვნეს და თეთრი რიდე

თავსა ეხვია“[26], „მას ოქრორიდე ეხვია, შვენოდა ქარქაშოსანი“ [22] და სხვა.

სულხან-საბას განმარტებით „რიდე ეს არის თავსაბურავი ინდოთა, სპარსთა, არაბთა ქუდისა წინ საბურავი“.

წყაროების მიხედვით რიდე სხვადასხვა ფერისაა, გამჭვირვალე, გამჭვირვალე-ოქროსფერი, პირისფერი, ძოწეული, წითელი, თეთრი, შავი ა.შ.

საქართველოში რიდის მოხვევის წესი სპარსულისაგან განსხვავებულია, ამასთანავე, ძველთაგან ქალთა თავბურვის თავისებური მანერა არსებობდა: ყელჩენით – გაუთხოვარ ქალთათვის და ყელის დაფარვით – გათხოვილთათვის. ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილიც გვაწვდის ცნობას: „ხოლო თავი ქალწულისა კავნი თავისავე თმისა და ღაწვთა ზედა და ქუდი ანუ ლექაჩი არამედ ქმროსანთა ჰბურავთ ლეჩაქი“ [1].

როგორც ეტყობა, თავბურვის წესის დაცვა მოგვიანებით (XIV საუკუნიდან) სავალდებულო აღარ იყო. ამას მოწმობს ფრესკები დედოფლების გამოსახულებით (გელათი, ბუგეული) – ყელი ზოგან გამოჩენილია, ზოგან დახურული.

2.4. ვაჭართა ფენისა და დაბალი ფენის სამოსი

შუა საუკუნოებრივ საზოგადოებაში პიროვნების მდგომარეობა, თანამდებობა და საქმიანობა სამოსის მიხედვით შეიცნობოდა. დიდებულის სამოსისაგან განსხვავებულია **ვაჭართა ფენის** სამოსი და გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. ვაჭარი რომ ჩაცმულობით შეიცნობა, ეს კარგად ჩანს წერილობითი ძეგლებიდანაც: „ყმა ვაჭრულად იმოსების...“, „სამოსისა ვაჭრულისა ცმა აქამდის დაეწესა“, „მე სავაჭროსა ჩავიცვამ, დავიწყებ

ჯუბაჩობასა“ [22], „მან ტანსა ჯუბა ჩაიცვა, თქვა: მე ვარ დიდ ვაჭარია“ [29].

ვაჭრის სამოსად ჯუბა იყო მიღებული. XII საუკუნის ასტრონომიულ ტრაქტატში ერთ–ერთ მინიატურაზე გამოსახულია ვაჭარი, რომელსაც ჯუბა აცვია. ჯუბაზე სარტყელი აკრავს და მოზრდილი ჯიბე უჩანს. როგორც დაკვირვების შედეგად ირკვევა, ჯიბე სარტყელზეა დამაგრებული. ვაჭრის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ჯიბე და ქისა მისი ტანსაცმლის აუცილებელი ელემენტებია.

ვაჭართა ჩაცმულობა საზოგადოების სხვა ფენების ჩაცმულობისგან განსხვავებული იყო ევროპასა და აზიაშიც. ამას მოწმობს როგორც წერილობითი წყაროები, ისე ძველი დროის მინიატურები.

ტერმინ „ჯუბაჩის“ განმარტებისათვის აღსანიშნავია, რომ „ჯუბაჩობა“ თურქული ენიდან ითარგმნება, როგორც ვაჭრობა. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ჯუბა თავდაპირველად ვაჭრის სამოსი იყო და შემდეგ გავრცელდა სხვადასხვა ფენებში.

მოსახლეობის **დაბალი ფენის** სამოსის შესახებ წერილობითი ცნობები მცირეა. ადრეული შუა საუკუნეების პერიოდისათვის ცნობილია, რომ ზედა და ქვედა ფენების ჩაცმულობა მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მოგვიანებით X-XI საუკუნეებიდან ეკონომიკურმა აღმავლობამ და წინსვლამ ხალხის მასების ჩაცმულობაზეც მოახდინა გავლენა. მეფე ლაშა–გიორგის მემატიანე მოგვითხრობს, რომ თამარ მეფის დროს „იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონითა სწორად იმოსებოდეს“ [3].

დაბალი ფენის სამოსის სახის შესასწავლად კარგ მასალას იძლევა მინიატურები სხვადასხვა ხელნაწერიდან, რომლებიც სახ.მუზეუმების ფონდშია დაცული. ესენია: XII საუკუნის ჯრუჭის ოთხთავის მინიატურა ვენახის ბარვის და მყნობის სცენით,

XIII საუკუნის ფსალმუნის მინიატურა მესაკრავეების გამოსახულებით (ნახატები ქრ. კასტელის ალბომიდან). არქიტექტურული ძეგლებიდან რელიეფები – სამშენებლო ქვის მოპოვება-დამუშავებისა და სხვადასხვაგვარი სამეურნეო საქმიანობის ამსახველი სცენებით. ამ მხრივ საყურადღებოა X-XI ს ქორიღოს ხუროთმოძღვრული ძეგლის რელიეფები.



ა ბ

ნახ. 2.22. კაბა დაბალი ფენის წარმომადგენელთათვის:
ა – მამაკაცის; ბ – ქალის

აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ დაბალი ფენის წარმომადგენელთა სამოსი ფორმითა და კონსტრუქციით იგივეა, რაც ზედა ფენის წარმომადგენლებისა, მაგრამ მოკლებულია მდიდრულ გაწყობასა და მოქარგულობას, გამოყენებულია მდარე ხარისხის მასალები. დაბალი ფენის ჩაცმულობაში შეინიშნება შემდეგი სახის სამოსი:

ა) წინ ჩახსნილი, სარტყელით შეკრული ჯუბის მსგავსი სამოსი.

ბ) წინ ჩახსნილი, წელამდე ჩაღილული კაბა (ნახ. 2.22, ა.ბ.), როგორც მამკაცისათვის, ისე ქალისათვის.

გ) პერანგისებური კაბა, რომელსაც კალთა ჩაჭრილი აქვს წელის ან მკერდის ხაზამდე.

3. კოსტუმის დასამზადებლად გამოყენებული მასალები

ართველი ხალხი ოდითგანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ტანსაცმლისათვის მასალის შერჩევას. ძველად ამიერკავკასიელთა წინაპრებს, ისევე, როგორც სხვა ხალხებს ეცვათ შინაური და გარეული ცხოველების ტყავი [39]. რასაკვირველია უხეში, ტლანქი ტყავის ისე დამუშავება, რომ ის სამოსად გამომდგარიყო, ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ დაკვირვებამ, გამოცდილების დაგროვებამ, შრომითი ჩვევების გამომუშავებამ ადამიანს შესაძლებლობა მისცა ამ მიზნისათვის მიეღწია. საუკუნეთა მანძილზე მან შეითვისა ტყავის შებოლვა, გაპოხვა, გაწკიპვა და შეღებვა.

სად და როდის იქნა თავდაპირველად აღმოჩენილი ტყავის დამუშავება და სამოსელად მისი გამოყენება, ცნობილი არ არის. ცნობილია, რომ მეთოდები ყველა ქვეყანაში ფართოდაა გავრცელებული.

შუა საუკუნეებში ტყავის სამოსს საქართველოში ძალზე დიდი გამოყენება ჰქონდა. ამის შესახებ მრავალი წერილობითი ძეგლი გვაწვდის ცნობებს. განსაკუთრებით საყურადღებოა XVII საუკუნის დასაწყისის დოკუმენტი – „დადიანის ასულის მარიამის მზითვის წიგნი“ [40], მასში ჩამოთვლილია ტყავისა და ბეწვის სხვადასხვა სამოსი, ესენია:

1. სხვადასხვა დასახელების ხავერდის ტყავი – ნატი (ზამშე), ცხოველების – სიასამურის, კვერნის, კურდღის ტყავებისაგან;

2. ატლასის ტყავი (გალაქული ტყავი) სხვადასხვა შეფერილობისა (ყირმიზი, თეთრი, მწვანე, ოქროქსოვილი, ხორცისფერი,

ცისფერი, შავი, იისფერი);

3. ძვირფასი ბეწვეულები (სიასამური, კვერნა, კურდღელი).

დროთა განმავლობაში ჩვენს წინაპრებს სელისა და მატყლის დამუშავება აუთვისებიათ. შუა საუკუნეებში ქსოვილის დამზადებასა და ღებვას მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის ეკონომიკაში. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი უძველესი ქსოვილის ნიმუშები (ძვ.წ.XIII – XII ს), ძველი ისტორიკოსების, გეოგრაფებისა და მოგზაურთა ცნობები (ჰეროდოტე, სტრაბონი, მოგვიანებით ზაქარია ყაზვინი, მარკო პოლო, რუსი ელჩები (ტურფენორი, შარდენი, გიულდენშტედტი) მოწმობენ, რომ საქართველო ძველთაგანვე განთქმული იყო თავისი საფეიქრო ნაწარმითა და ქვეყნის გარეთ გასატანადაც ამზადებდა ქსოვილს [41]. შემთხვევითი არ არის ანტიკური ხანის მწერალთა ცნობები იმის შესახებ, რომ იმდროინდელ მსოფლიოში კოლხეთი განთქმული იყო სელის ნაწარმის მაღალი ხარისხით.

მრავალი უცხოელი მწერალი ადასტურებს საქართველოში არსებულ ქსოვილის დამზადების ტრადიციებს. დე მორგანის ცნობით – ჩვენს წინაპრებს „ტანისამოსად სელის, ბამბისა და მატყლის ქსოვილები ჰქონდათ, რომელთაგან ბამბისა და მატყლის ქსოვილები ზედა სამოსისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ქსოვილები სხვადასხვა ხარისხისა ყოფილა. სამოსელის შესაკრავად ჰქონიათ ღილები, დუგმები, ფიბულები და სხვადასხვანაირი ქინძისთავები“ [3]. აღნიშნული ქსოვილების უმრავლესობა ადგილობრივი ხელოსნური ან საოჯახო შინამრეწველობის პროდუქტს წარმოადგენდა.

ქსოვილების დასამზადებლად საქართველოში ძველთაგანავე ხმარობდნენ ორი სახის საქსოვ დაზგას – ჰორიზონტალურს (საფეიქრო) და ვერტიკალურს (თორის ყდა). ჰორიზონტალურ დგიმსავარცხლიან საქსოვ დაზგას იყენებდნენ ბარში, ხოლო ბეჭ–საშევრიანი საქსოვი ყდა (ვერტიკალური დაზგა) გავრცელებუ-

ლი იყო მთიან რაიონებში.

საქართველოში ქსოვდნენ შალის, აბრეშუმის, ბამბის, სელისა და კანაფის ქსოვილებს.

ცხვრის მატყლისაგან ამზადებდნენ სხვადასხვა ფერის შალის ქსოვილებს, ნაბდებს, ხალიჩებს, ფარდაგებს, ქუდებს, წინსაფრებს, საფენებს, წინდებს, ხურჯინებს და სხვ. შალის ქსოვილისაგან ამზადებდნენ ყაბალახს, სარტყელს, ხვანჯრებს და სხვ.

აბრეშუმის ნართისაგან მზადდებოდა ძვირფასი ქსოვილები ტანსაცმლისათვის, მანდილები, სარტყელი, არშიები, საფულე ქისა, ყაითანი და სხვ. ამზადებდნენ ბამბანარევ აბრეშუმის ნაწარმსაც.

ბამბის ნართისგან მზადდებოდა ქსოვილები თეთრეულისათვის, ე.წ. ხამი (ლაინი) ქსოვილი, სხვადასხვა ზონარები და ა.შ.

ხალხურ ფეიქრობაში იყენებდნენ ასევე თხის ბეწვს – თხისურს. ქსოვდნენ წინდებს, ხელთათმანებს და სხვა ნაწარმს.

ქსოვილებს ღებავდნენ სხვადასხვა მცენარეულ საღებავში. ხმარობდნენ ენდროს, საწერ ბალახს, კაკლის ნაჭუჭს, თხმელის ქერქს, ნარინჯ ყვავილსა და ლილამიწას. გამოიყენებდნენ ელფერისა და ტონის მიმცემ საღებავებს.

ყოველივე ეს უდავოდ მოწმობს საქართველოში საფეიქრო წარმოების განვითარების მაღალ დონეს.

საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ რაიონებში სეზონის შესაბამისად ქსოვილთა წარმოებაც და მათი გამოყენებაც განსხვავებული იყო. თბოგამტარიანობისა და ტენის სწრაფად აორთქლების უნარის მქონე სელის ქსოვილებს უპირატესად დასავლეთ საქართველოში იყენებდნენ, მინდვრებში სამუშაოდ ზაფხულის ხანგრძლივი გვალვების დროს.

საქართველოს მთიან ნაწილში მკაცრი პირობების შესაბამისად შალის, ტყავისა და ბეწვის მასალისაგან დამზადებულ სამოსს იყენებდნენ, რაც კარგად იყო შეთავსებული შრომისა და

კლიმატის პირობებთან.

შუა საუკუნეებში კოსტუმის დასამზადებლად გამოყენებული იყო შემდეგი სახის მასალები:

სამეფო ბისონი მზადდებოდა იმავე სახელწოდების ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილისაგან.

მეფეთა პორტრეტებზე გამოსახული ბისონი ზოგჯერ მძიმედ ეშვება, მოძრაობასა და სხეულის პლასტიკას არ გადმოსცემს, ზოგჯერ კი ნაკეცები აქვს, ნაოჭდება, ქვევით ფართოვდება,ჰაეროვნების შთაბეჭდილებას ქმნის. ე.ი. ბისონი ზოგჯერ მძიმე ფარჩის ოქროქსოვილითაა დამზადებული, ზოგჯერ კი მსუბუქი სარასარის – ატლას ოქსინოთი.

ბისონის მასალად წერილობითი წყაროების მიხედვით მოხსენიებულია ტერმინები „ზეზი“, „ზუზმა“, „ოქსინო“, „სტავრა“, „ატლასი“, „ზარქაში“, „შარი“, „ატლას–ოქსინო“. ეს ტერმინები ძირითადად ძვირფასი აბრეშუმის, ფარჩისა და ხავერდის აღმნიშვნელი ტერმინებია. დასახელებული სახელწოდებები ბერძნული, არაბული და სპარსულია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ისინი ბიზანტიიდან და სპარსეთიდან შემოჰქონდათ. შუა საუკუნეებში (VI ს) ბიზანტია უკვე ფლობდა ძვირფასი აბრეშუმის წარმოების საიდუმლოს, რომელიც ათასწლეულის განმავლობაში აღმოსავლეთის, კერძოდ ჩინეთის საკუთრება იყო. ამ პერიოდისათვის ფარჩის წარმოება ძირითადად საბერძნეთსა და სირიაში გადანაცვლდა და საჭირო აღარ იყო „დიდი აბრეშუმის გზით“ მათი შემოტანა ინდოეთიდან და ჩინეთიდან. პურპურის საღებავისა და აბრეშუმის ქსოვილის დამზადება ბიზანტიის სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენდა. აღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში ყველა ქსოვილი შემოტანილი იყო, პირიქით, აქ მზადდებოდა ძვირფასი ქსოვილები, რომლებიც საზღვრებს გარეთაც გაჰქონდათ. წერილობით წყაროებში გვხვდება ცნობები იმის შესახებ, რომ ბიზანტიელ ელჩებს საფრანგეთის კარზე აცვი-

ათ კოლხეთში დამზადებული ბერული ტილოს ქსოვილის იისფერი კაბა. ასევე, საზეიმო ვითარების დროს, ბიზანტიის სამეფო კარზე აცვიათ საქართველოში დამზადებული მუქი წითელი ფერის ქსოვილის სკარამანგი და თავსაბურავი.

სამეფო ფესვედი ძირითადად აბრეშუმისგან მზადდებოდა და გამოსაჩენი ადგილები ოქრომკედით მუშავდებოდა. ქალის ფესვედისათვის მიღებული იყო „მჭირვალი ხორცთა მჩენი“ მოვის ქსოვილი.

სანადირო სამოსად მეფე-დიდებულები ტყავისაგან დამზადებულ ყაბარჩას გამოიყენებდნენ.

ზედა სამოსის დასამზადებელი მასალები სხვახვადასხვა სახისა იყო. ზეწრისმაგვარი მოსასხამებისათვის ბამბისა და სელის ქსოვილები გამოიყენებოდა. პალეკარტი და პორფირი ძვირფასი ძოწეული აბრეშუმისა და ხავერდის ოქსინოთი იყო დამზადებული. მოსასხამი სკარამანგის მასალად წერილობით წყაროებში იმავე სახელწოდების ფარჩის ქსოვილია („ძვირფასად და ყვავილოვნად ნაკერი ოქროის თმითა და ჩიგინითა“) მოხსენიებული. მოსასხამებადაა აგრეთვე გამოყენებული ე.წ. „ძვირფასი ბეწვიანი ოქროქსოვილი“, „სტავრა“, „ყარყუმი“ და სხვ. საწვიმარ მოსასხამებად ცხვრის ან აქლემის მატყლის ხალენი, აქლემის ტყავის სტეოედი და ცხვრის ტყავის საწუმისი არის დასახელებული. ნაბდისმაგვარი გირჯაკისა და ღართისათვის სავარაუდოდ მოთელილი მატყლია გამოყენებული.

ზედა სამოსების – ჯუბისა და ჯუბაჩის დასამზადებლად შალის ქსოვილები „ჩოხა“, „კილიკი“, „ფლასი“, „ყიასი“ გამოიყენებოდა. აღნიშნული შალის ქსოვილები საქართველოში მზადდებოდა.

კაბების დასამზადებლად გამოიყენებოდა შალის, აბრეშუმის, ბამბისა და სელის ქსოვილები, ესენია: სკლატი, ჩოხა, ფლასი, ყიასი, ოქსინო, სტავრა, ნახლი, ლარი, ხატაური, კუმაში, ხარა,

დიბა, ატლასი, შარი და სხვა მრავალი.

საცვალი თეთრეულისათვის გამოიყენებოდა აბრეშუმის, ბამბისა და სელის ქსოვილები [1]. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ოქროსა და ვერცხლის ძაფებით (მკედით) ამოქარგული სელის ქსოვილის – ყასაბის პერანგი და გამჭვირვალე „ხორცთა მჩენელი“ მოვის პერანგი. ქვედა საცვლებისათვის ბამბის, აბრეშუმის, სელის, ასევე ბამბისა და აბრეშუმის შერეული ნართისაგან დამზადებული ქსოვილები გამოიყენებოდა.

ქალის თავსაბურავებისათვის გამჭვირვალე აბრეშუმის ქსოვილები და აბრეშუმის „ბაღდადი“ გამოიყენებოდა. მამაკაცის თავსაბურავებად სკლატის, შალის ან ბეწვის ქუდები იხმარებოდა.

ბოლოსიტყვაობა

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა შუა საუკუნეებში გამოყენებული სამოსის სხვადასხვა, გაურკვეველი სახეობები და მათი აღმნიშვნელი არქაული, დღეისათვის უცხო ტერმინები – პალეკარტი, სკარამანგი, გირჯაკი, ღართი, ჯუბა, ყაბაჩა, ტყავკაბა, ბისონი და კუბასტი, რიდე და სხვა.

გამოიკვეთა, რომ V-XI საუკუნეებში კოსტუმებზე შეინიშნება ბიზანტიური სამოსის ზეგავლენა, რაც გამოიხატება ბიზანტიელ იმპერატორთა და ქართველ მეფეთა სამოსის სახეობებისა და სახელწოდებების იდენტურობით. ამის ნათელი დადასტურებაა მონომენტური ფერწერა და სხვა იკონოგრაფიული ძეგლები, როგორც საქართველოს, ისე ბიზანტიის მხრივ.

ტანსაცმლის სახეობების შესწავლამ აჩვენა, რომ ერთ–ერთი საინტერესო სამოსის – ნახევრადგაუკერავი დაგრძელებულსახელოებიანი სკარამანგის თავისებური კონსტრუქცია იძლევა მისი სხვადასხვაგვარად მოხმარების შესაძლებლობას. ის შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც მანტია, როგორც ნაბადი, ან, როგორც უსახელო ზედა სამოსი.

კვლევით გამოვლინდა, რომ XIV-XVII სს კოსტუმზე შეინიშნება აღმოსავლური (მონგოლური, ყიზილბაშური და სპარსული) ჩაცმულობის ზეგავლენა, რაც გამოიხატება მაღალი ფენის ჩაცმულობაზე – თავსაბურავებში, საყელოების ფორმაში, ლეინის ხალათებსა და ფეხსაცმელებში. ხოლო ზოგი მკვლევარის მიერ გამოწყობილი სილუეტის სამოსის აღმოსავლურად მიჩნევა სადავოა, რადგან წელზე გამოწყობილი სილუეტი სწორედ საქართველოსთვის არის დამახასიათებელი და არა აღმოსავლეთი-

სათვის. აღმოსავლურ სამოსში მსგავსი სილუეტების გამოჩენა კულტურათა ურთიერთზეგავლენას უნდა მივაწეროთ იმიტომ, რომ დამპყრობლებს არა მარტო მოჰქონდათ თავისი, არამედ საქართველოდანაც ითვისებდნენ ზნე–ჩვეულებებს და მიჰქონდათ ქართული ტრადიციული ელემენტები. (ამას სხვადასხვა არაქართული წერილობითი წყაროებიც და მოგზაურების ჩანაწერებიც ადასტურებენ.

წერილობით ძეგლებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ შუა საუკუნეებში კოსტუმის დასამზადებლად გამოყენებული იყო, როგორც შემოტანილი, ისე ადგილობრივი შინამრეწველური ხერხით დამზადებულიშალის, აბრეშუმის, ბამბისა და სელის ქსოვილები, ზედა ტანსაცმლისათვის ხმარებაში იყო ტყავისა და ბეწვის მასალები. თეთრეულისათვის გამოყენებული იყო ბამბის, აბრეშუმის, სელის, ასევე ბამბისა და აბრეშუმის, ბამბისა და სელის შერეული ნართისგან მიღებული ქსოვილები.

ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილები V-XIII საუკუნეებში ძირითადად შემოჰქონდათ ბიზანტიიდან, ანტიოქიიდან, ხოლო XIII საუკუნიდან აღმოსავლეთიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახუშტი აღწერა სამეფოსა და საქართველოსა (საქ.გეოგრაფია). თ.ლომოურისა და ნ.ბერძენიშვილის რედაციით. თბ., 1941.
2. ივ. ჯავახიშვილი ძვ. ქართული საისტორიო მწერლობა. თბ., 1916.
3. ივ. ციციშვილი მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის. თბ., 1954.
4. ნ. ალექსი-მესხიშვილი ისტორიული პიესების წარმოდგენების გამო. გაზ."ივერია". 1904. № 63, 66, 70, 80, 96, 103.
5. ვინმე სოფლელი (ივ. ციციშვილი) ქართული ეროვნული ჩაცმულობა. ჟურნალი „კლდე". 1914. № 40, 1915წ. № 1.
6. ივ. ჯავახიშვილი გამოუქვეყნებული მასალები მატ. კულტურის ისტორიისათვის. ნ. III, ტანსაცმელი კაბ. ფონდი ი.ჯ. S. № 8.
7. ივ. ჯავახიშვილი საქ. ეკონომიური ისტორია. ნ. I. თბ., 1930.
8. ნ. ჩოფიკაშვილი XI-XIII საუკუნეების ქართული სამეფო სამოსელი. მუზეუმის მოამბე ტ.XXIII-B. 1962.
9. ც. ბეზარაშვილი ქართული ჩაცმულობა. საქ. სახ.მუზეუმი. ეთნოგრაფიული გამოკვლევა „შიდა ქართლი". თბ.,1987.
10. ლ.მროველი ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება ტ.1 ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1955.
11. Иллюстрированная энциклоредиа моды. АРТИЯ. 1988.
12. ჯუანშერი ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა ქართლის ცხოვრება ტ. 1. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1955.
13. ქართული მწერლობა. წესი და განგება მეფედ კურთხევისა. ტ. 5. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1988.
14. შავთელი აბდულმესიანი. ჩვენი საუნჯე ტ. 1 ყუბანეიშვილის

რედაქციით. თბ., 1960.
15. სულხან-საბა ორბელიანი გამოკრებილი ლექსიკონი. ქართული მწერლობა ტ.7 ბაქრაძის რედაქციით. თბ., 1989.
16. გ. მერჩულე შრომაი და მოღუაწებაი ღირსად წმინდისა და ნეტარისა ჩუენისა გრიგოლისაი. ჩვენი საუნჯე. ტ. 1 ყუბანეიშვილის რედაქციით. თბ., 1960.
17. უცნობი ავტორი მარტვილობაი და მოთმინებაი წმინდისა ევსტათი მცხეთელისა. ჩვენი საუნჯე ტ. 1 ყუბანეიშვილის რედაქციით. თბ., 1960.
18. უცნობი ავტორი ცხორებაი და მოქალაქეობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი. ჩვენი საუნჯე. ტ. 1. ყუბანეიშვილის რედაქციით. თბ., 1960.
19. უცნობი ავტორი ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1955.
20. გ. ჩუბინიშვილი ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. 1. თბ., 1939.
21. უცნობი ავტორი წამება დავით და კონსტანტინესი. ქართული მწერლობა. სირაძის რედაქციით. ტ.1. თბ., 1987.
22. შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი. ჩვენი საუნჯე. ბარამიძის რედაქციით. ტ.1. თბ., 1960.
23. უცნობი ავტორი სიბრძნე ბალავარისი. ქართული მწერლობა ტ.1. სირაძის რედაქციით. თბ.,1987.
24. ჩახრუხაძე თამარიანი. ჩვენი საუნჯე. ტ. 2. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1960.
25. შავთელი აბდულმესიანი. ჩვენი საუნჯე. ტ. 2. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1960.
26. მ.ხონელი ამირანდარეჯანიანი. ჩვენი საუნჯე. ტ. 2. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1960.
27. ბ.ზარზმელი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. ქართული მწერლობა. ტ.1. სირაძის რედაქციით. თბ., 1987.
28. გიორგი ხუცეს-მონაზონი ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩუენისა

იოვანესი და ეფთიმესი. ჩვენი საუნჯე. ტ.2. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1987.
29. ფირდოუსი შაჰნამე. თბილისი 1938.
30. ქართული მწერლობა. ტ.1. სირაძის რედაქციით. თბ., 1987.
31. ქართული მწერლობა „გარიგება ხელმწიფის კარისა“. ტ. 5. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1988.
32. უცნობი ავტორი ვისრამიანი. ჩვენი საუნჯე . ტ. 2. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1960.
33. Руставели Ш. Витязь в тигровой шкуре. Мерани. Тб., 1984.
34. ბ.კანდელაკი შოთა რუსთაველის 100 პორტრეტი. მაჩაბელის და სხვ. რედაქციით. თბ., 1982.
35. ს. ყაუხჩიშვილი ქართლის ცხოვრება. ტ.1. თბ., 1955.
36. ახალი აღთქმა მარკოზის სახარება. თბ., 1987.
37. იაკობ ცურტაველი წამებაი წმინდისა შუშანიკისი დედოფლისა ჩვენი საუნჯე. ტ.1 ყუბანეიშვილის რედაქციით. თბ., 1960.
38. მ.საყვარელიძე სამეფო კოსტუმი (ლეონ კახთა მეფის გამოსახულებათა მიხედვით) საქ. სახ. მუზეუმის მოამბე. XXXI-B. ჭილაშვილის რედაქციით. თბ., 1975.
39. ივ.ჯავახიშვილი მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. თბ., 1981.
40. ს.ბარნაველი დადიანის ასულის მარიამის მზითვის წიგნი. სახ. მუზეუმის მოამბე. ტ.XXIII – B. თბ., 1962.
41. ნ. ბრაილაშვილი ასეთი მახსოვს საქართველო. ეთნოგრაფიული ჩანახატები. თბ., 1990.
42. ი. უგრეხელიძე მოსასხამების ტიპის სამოსი შუა საუკუნეების საქართველოში. რესპუბლიკური სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „გამოყენებითი ქიმიისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევები“. ქუთაისი: 2009.

დანართი

ილუსტრაციები

1. სტეფანოზ პატრიკიოსი. მცხეთის ჯვრის მონასტერი (VI ს).
2. სამეფო წყვილი. ხახულის კარედი ხატის ფრაგმენტი (X ს.).
3. ბაგრატ IV-ის ას. მარიამი და მისი მეუღლე ბიზანტიელი იმ-პერატორი მიხეილ VII დუკა. ტიხრული მინანქარი.
4. მეფე ბაგრატ IV. გელათის ღვთისმშობლის მონასტერი (XVI ს.).
5. მეფე დავით აღმაშენებელი. გელათის ღვთისმშობლის მონას-ტერი (XVI ს.).
6. თამარ მეფე. ვარძიის ფრესკა (XII ს.).
7. მეფე გიორგი III. ბეთანიის ფრესკა (XII ს.).
8. შერგილ დადიანი. ხობის მონასტრის ფრესკა (XIII ს.).
9. შერგილ დადიანის მეუღლე ნათელი. ხობის მონასტრის ფრეს-კა (XIII ს.).
10. ბორენა დედოფალი. ატენის სიონი (XI ს.).

11–13. ქტიტორი. ატენის სიონის მონასტრის ბარელიეფი (VII ს.).

14. ნერსე სტეფანოზი. ატენის სიონის ბარელიეფი (VII ს.).

15. შოთა რუსთაველი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკა (XII ს.).

16. ქტიტორი გიორგი. პეტრიწონის ქართველთა სავანის ფრესკა-ზე (XVI ს.).

17. აშოტ კურაპალატი. ოპიზის ტაძრის ბარელიეფი (IX ს.).

18. მეფე ლაშა-გიორგი. ბერთუბნის ფრესკა (XII ს.).

19. საფარის მონასტრის ფრესკა (XIV ს.).

20. მინიატურები „ასტროლოგიური ტრაქტატიდან“ (XII ს.).

21. მინიატურა „ვეფხისტყაოსნის’ თავაქარაშვილისეული ხელ-ნაწერიდან (XVI ს.).



1

2



3

4

5

6

7



8 9

10



11

12

13

14

15

16

17



18

19

20



21

შინაარსი

შესავალი.....3
1.მასალები შუა საუკუნეების საქართველოს
კოსტიუმის შესწავლისათვის..... 6
2.შუა საუკუნეების კოსტუმის ფორმები და სახეობები.....18
2.1. შუა საუკუნეების კოსტუმის კლასიფიკაცია..... 18
2.2. სამეფო სამოსი 20
2.3. დიდებულთა სამოსი..... 36
2.4. ვაჭართა ფენისა და დაბალი ფენის სამოსი 67
3.კოსტუმის დასამზადებლად გამოყენებული მასალები..... 70
დასკვნა..... 76
გამოყენებული ლიტერატურა..... 78
დანართი..... 81

ავტორის ბიოგრაფიული მონაცემები

ირინა უგრეხელიძე დაიბადა 1959 წელს. 1981 წელს დაამთავრა ნ.ი. მუსხელიშვილის სახ. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 2003 წელს ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურა, ამჟამად არის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ტექნოლოგიისა და მასალათმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1981-89 წლებში მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში.

1989 წლიდან დღემდე მუშაობს ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში (ამჟამად აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში) მოწვეულ სპეციალისტად და ქუთაისის სახელმწიფო ეროვნული მუზეუმის ქსოვილების კოლექციის დიგიტალიზატორად.

ი. უგრეხელიძის სამეცნიერო მიმართულებაა კოსტუმის ისტორიის, მოდის ინდუსტრიის, კოსტუმის დიზაინისა და მხატვრული და კონსტრუქტორული დაგეგმარების საკითხები; ასევე ეროვნული და სასულიერო კოსტუმის განვითარებისა და მხატვრული გაფორმების შესწავლა; სპეცტანსაცმლის დაგეგმარების საკითხები.

ი. უგრეხელიძე 20 წელზე მეტი ხანია ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. არის სამაგისტრო დისერტაციების თანახელმძღვანელი და 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.